პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელს. № 189 (13005) | პარასკევი, 14 აგვისტო, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ცელინოგრადის ოლქში

ნაღგური ქანინსკაი (ცელინოგრადის ოლქი), 13 აგვისტო. (პრეს-ჯგუფი). დღეს დილით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ჩამოვიდა ყანინსკაის სადგურში. აქ ჩამოვიდა აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. პოლიაკოვი.

პირდაპირ სადგურიდან ნ. ს. ხრუშჩოვი გაემართა ესილის საწარმოო სამმართველოს ახლომდებარე საბჭოთა მეურნეობების ყანებისაკენ.

სამ საათზე მეტს მიდიან მანქანები იშიმისპირეთის ველის გზებით. ბოლო არ უჩანს პურის ყანებს. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ყანინსკის, მოსკოვსკის, კარაკოლსკის, ბუზულუკსკის საბჭოთა მეურნეობების ყანები.

ყანების დათვალიერების დროს ნიკიტა სერგეი-ძე შეხვდა და ესაუბრა საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ბ. ნ. პეტროუხს, ა. ვ. გაურლიკს, ლ. ი. გოლდბერგს, ნ. ნ. სიმახინს, ესილის საწარმოო სამმართველოს უფროსს დ. ა. კიმს, პარტკომის მდივანს ი. ა. შენდრიკს, ბრიგადირებს, მექანიზატორებს.

პრესაში მთავარია ახლის, მოწინავის შეტევითი პროპაგანდა

კომუნისტურმა პარტიამ თავის პროგრამაში დასახა დიადი მიზანი — უზრუნველყოს საწარმოო ძალების მძლავრი განვითარება, შექმნას პირობები საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების ყოველმხრივი დაკმაყოფილებისათვის. ჩვენმა ხალხმა უკვე ბევრი რამ გააკეთა ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ წინ დიდი მუშაობა გველის. საჭიროა ვიშრომოთ ძალების მთელი დაძაბვით, რათა მივაღწიოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

ამ პირობებში იზრდება პარტიის უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური იარაღის — პრესის როლი ხალხის კომუნისტურ აღზრდაში, მისი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციაში კონკრეტული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენი პრესის შესანიშნავი თავისებურებაა მისი ჰეშმარიტად დემოკრატიული ხასიათი, ის, რომ იგი არსებობს ხალხისათვის და მოქმედებს მისი უშუალო მონაწილეობით. ბევრი მოწინავე, ნოვატორი ჩვენში ცნობილია არა მარტო თავისი მიღწევებით, არამედ შინაარსიანი, მკაფიო გამოსვლებით პრესაში. მაგალითად, ლენინგრადელი მუშის ალექსი ჩუევის სტატიამ პრესაში საფუძველი ჩაუყარა საქმიან საუბარს მორალური სტიმულის როლის შესახებ. ამ სტატიაში გამოხატულია მრავალი მკითხველის ფიქრები.

ამ დღეებში მთელმა ჩვენმა პრესამ მკითხველებს აუწყა დედაქალაქის თხუთმეტი საწარმოს პატრიოტული თაოსნობა. ამ საწარმოთა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს **1964-1966** წლებში თვითეული გამოშვებული ნაკეთობა უწარალო გახადონ, განუწყვეტლივ აამაღლონ პროდუქციის ხარისხი და, ამრიგად, მიიღონ დამატებითი სახსრები მრეწველობის განვითარებისათვის. ამ შესანიშნავ თაოსნობას, რომელიც ჭოწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, მხურვალედ დაუჭირა მხარი პრესამ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მილიონობით მშრომელნი, რომლებიც თავდადებით მუშაობენ მინდვრებში, ცდილობენ ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი სამშობლოს პურის რესურსების გადიდებაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მოულოცეს ყირიმის, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მხვნელ-მთესველებს დიდი შრომითი გამარჯვება — სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის წლიური გეგმის წარმატებით შესრულება. პრესის მოვალეობაა მკაფიოდ გააშუქოს მკის მოწინავეთა შრომითი მიღწევები, სამხრეთელთა გამოცდილება გადაიტანოს ვოლგისპირეთისა და ციმბირის მიწაზე, უამირ მინდვრებზე.

ამ დღეებში ჩვენი გაზეთები ოპერატიულად, ცოცხლად წერენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში გაჩაღებული ალოობის შესახებ. როსტოვის „ბოლოტის“ ფურცლებზე ნახავთ ჩანახატებს მკის გმირების შესახებ, სტატიებსაც რუბრიკით „მოწინავე გამოცდილება ჩვენი სიმდიდრეა“, კორესპონდენციებსაც „მოწინავე გამოცდილების მასალების კვალდაკვალ“.

ბევრი ჩვენი გაზეთი გამოირჩევა იმის უნარით, რომ დაინახოს ახალი, აჩვენოს იგი მთელ ხალხს, დაინტერესოს მკითხველი, დაეხმაროს ნოვატორთა და ენთუზიასტთა რიგების ზრდას. მაგალითად, სწორად მოიქცა „მოსკოვსკაია პრავდა“, რომელმაც ფართოდ გააშუქა მთავარმოსკოვშენის მუშაკთა ძვირფასი თაოსნობა, რომლებიც ფართო მშენებლობას ახორციელებენ დედაქალაქის ოლქის სოფლებში. ბოლო დროს ნოვატორთა ტრიბუნა გახდა გაზეთების „ლენინგრადსკაია პრავდის“, „ვეჩერნაია მოსკვასა“ და „ვეჩერნი ლენინგრადის“ ფურცლები. ამ გაზეთებში აქტიურად თანამშრომლობენ წარმოების ნოვატორები.

საჭიროა, რომ ძვირფასი გამოცდილება, რომელსაც პრესა ავრცელებს, მშრომელთა ყველაზე ფართო მასების საკუთრება გახდეს. შრომის მოწინავე წესებისა და მეთოდების პროპაგანდა, და დანერგვა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების, სპეციალისტების, მეცნიერების უპირველესი ამოცანაა.

როცა სარატოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „დეკაბრისტის“ მხვნელმთესველთა წინაშე გამოვდა, ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა მოწინავე მეცნიერები, სპეციალისტები, პრაქტიკოსები, რომლებიც თავიანთი შრომითა და თავიანთი თეორიული საქმიანობით ამდიდრებენ ჩვენს ცხოვრებას, ქმნიან ბევრ სიახლეს, ძვირფასს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისათვის. „სამწუხაროდ, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ჩვენში კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არ ითვლიან ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯებს, ნაკლებად აინტერესებთ თავიანთი მეზობლების გამოცდილება, რომლებზეც ხშირად იბეჭდება მასალები ჩვენს გაზეთებში.

ამხანაგებო, არ შეიძლება ასე მოვეკიდოთ მოწინავე გამოცდილებას, „ბეჭდვით სიტყვას“.

სერიოზული საყვედური შეიძლება ვუთხრათ იმ გაზეთებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ ბეჭდვითი პროპაგანდის დიდ შესაძლებლობებს მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა გამოცდილების გავრცელებისათვის. მაგალითად, კალუგის საოლქო გაზეთი „ზნამია“ ხშირად ბეჭდავს მოწინავე ადამიანთა ფოტოსურათებს, მაგრამ გაზეთში იშვიათად იბეჭდება ნოვატორთა გამოსვლები. იშვიათად აშუქებს მოწინავე ადამიანთა გამოცდილებას რიაზანის გაზეთი „პრიოკსკაია პრავდა“.

პასუხსაგები ამოცანები ისახება პრესის წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი ნოემბრის პლენუმთან დაკავშირებით. პლენუმზე, როგორც ცნობილია განხილულ იქნება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან ცალკეული სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან შეფარდებით, სპეციალიზებული წარმოების მართვის საკითხები. ჩვენმა პრესამ ყოველმხრივ და ღრმად უნდა შეისწავლოს, განაზოგადოს, კონკრეტულად აჩვენოს სოფლის მეურნეობის ინტენსიური გაძღოლის მოწინავე გამოცდილება მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, პროპაგანდა გაუწიოს სამრეწველო საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ნიმუშებს მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევების გათვალისწინებით. ამასთან ერთად საჭიროა უფრო მწვავედ გაკიკრიტიკოს ყოველი ჩამორჩენილი, კონსერვატიული, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებას.

ჩვენი პრესის უმაღლესი მოვალეობაა აქტიურად და ქმედითად დაეხმაროს კომუნისტურ პარტიას სოციალისტური ეკონომიკის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი მატერიალური გაუმჯობესების, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის ძირეული ამოცანების გადაჭრაში.

PRAVDA

13 აგვისტოს მოწინავე

შრომობენ, იმარჯვებენ

შვიდწლედი — ექვს წელიწადში

ყოველგვარ ამინდში

— **ცხაკაიელი** მეჩაიეები, — საუბარში განაცხადა ცხაკაიის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ნ. შონიამ**, — თავდადებით შრომობენ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. აგვისტომი ფოთლის კრეფის ტემპი არ შენელებულა. მეჩაიეებს ყოველგვარ ამინდში, წვიმაში თუ ქარში, პლანტაციებში ნახავთ, „მწვანე ოქროს“ რომ კრეფენ. გუშინწინ მოიკრიფა 111 ტონა ფოთოლი, ხოლო გუშინ — 115 ტონა. სულ სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 8.776 ტონა ჩაის ნედლეული, რაც წლიური გეგმის 85,8 პროცენტს შეადგენს.

დაწინაურდა **ახალსოფლის** კოლმეურნეობა (თავმჯდომარე **კ. გვასალია**). აქ ფოთლის კრეფის წლიური გეგმა უკვე 102 პროცენტით გაანაღდეს, სოფელ **კოტიანეთის** კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **მ. ბელქანია**) — 130 — პროცენტით, **თეკალთის** კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **ხ. გრიგოლია**) — 111 პროცენტით, **შხეფის** კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე **მ. შურდულაია**) — 112 პროცენტით, ხოლო **ახალსენაკის** საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი **ნ. ცხვიტავა**) ვალდებულების ზევით მოკრეფილია 3 ტონა „მწვანე ოქრო“.

კვლავ სასახელოდ მუშაობენ **ზანის** კოლმეურნეობიდან ცნობილი მეჩაიე **ტატიანა ტყეშბუჩავა** და **ხაბუმის** კოლმეურნეობიდან **ნათელა შენგელია**. თვითეულმა სეზონის დაწყებიდან მოკრიფა 7 ათას კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ცხაკაიელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულონ ვადაზე ადრე — 23 აგვისტოსათვის, ხოლო ვალდებულება — 1 სექტემბრისათვის.

ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ბევრმა კოლმეურნეობამ ისახელა თავი ჩაის ფოთლის კრეფაში. აღსანიშნავია სოფელ **ჭკადუაშის კომუნისტური შრომის კოლმეურნეობის** მეჩაიეთა წარმატება. მათ 9 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

ჭკადუაშელებმა მოკრიფეს 725 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 715 ტონისა. მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს სეზონში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 200 ტონა ჩაის ნედლეული.

იმედია, ჭკადუაშელები კვლავაც ისახელებენ თავს და პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

ოლია უშვერიძის ტონები

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფელ გუმბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. გაბიძაშვილი) წლიური გეგმით 260 ტონა „მწვანე ოქრო“ უნდა მოეკრიფა, ვალდებულება კი 270 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა. აქაურმა მეჩაიეებმა გეგმაც შეასრულეს და ვალდებულებაც.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკაში ცნობილმა მეჩაიემ ოლია უშვერიძემ, რომელმაც 0.5 ჰექტარზე ვალდებულებით ნაკისრი 8 ტონის ნაცვლად 8,4 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე მეჩაიეებმა ვენერა ფანცხავამ და მაკრა ზვიადაძემ.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ინგლისელ გამომცემელ რიო ტომსონთან

13 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ს. ხრუშჩოვმა** მიიღო საბჭოთა კავშირში მყოფი ინგლისის გამომცემელი ბატონი **რიო ტომსონი** მისი თხოვნით და ესაუბრა მას.

საუბარი გაიმართა ყამირის მხარეში, სადაც **ნ. ს. ხრუშჩოვი**, მოგზაურობს რა საბჭოთა კავშირში, კვლავ ეცნობა ყამირის მიწების საბჭოთა მეურნეობების მუშაობას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიწვია ბატონი **რიო ტომსონი** მონაწილეობა მიიღოს ყამირის საბჭოთა მეურნეობების ყანებში მოგზაურობაში, რათა ნახოს ყამირის მიწებზე მოყვანილი ახალი მოსავალი. ბატონმა **რიო ტომსონმა** მადლობით მიიღო ეს წინადადება და **ნ. ს. ხრუშჩოვთან** იყო ესლის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობების „ყანისპაის“, „მოსკოვსკის“, „კარაკოლსკის“ და „ბუზულუკის“ ყანებში და დაესწრო **ნ. ს. ხრუშჩოვის** საუბრებს ყამირის საბჭოთა მეურნეობების მუშებთან და სპეციალისტებთან.

ყანებში მოგზაურობის შემდეგ გაიმართა **ნ. ს. ხრუშჩოვის** საუბარი ბატონ **რიო ტომსონთან**, რომლის დროსაც **ნ. ს. ხრუშჩოვმა** უპასუხა კითხვებზე, რომლებიც შეეხება თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ცხოვრებისა და საბჭოთა საზოგადოების განვითარების ბევრ პრობლემას.

ბატონმა **რიო ტომსონმა** მადლობა გადაუხადა **ნ. ს. ხრუშჩოვს** მიღებისა და იმ კითხვებზე პასუხისათვის, რომლებიც დაისვა საუბრის მსვლელობაში.

საუბარს დაესწრნენ: ბატონ **რიო ტომსონის** თანამხლები ინგლისელი ჟურნალისტი **დევიდ ლეიტჩი** და გაზეთების „პრავდისა“ და „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორები **პ. ა. სატიუკოვი** და **ა. ი. აჯუბეი**.

საუბარმა, რომელიც დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა, ჩაიარა გულწრფელ, მეგობრულ ვითარებაში.

პური — სამშოგლოს

ყალმუხეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა და 10 აგვისტოს სამშობლოს ბეღლებში შეიტანეს 11,9 მილიონი ფუთი პური, რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვეტეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 9,6 მილიონი ფუთი მარცვალი, სულ კი სახელმწიფოს მიჰყიდიან 21,5 მილიონ ფუთს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა კუიბიშევის ოლქის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა გაბრძოლა მარცვლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. განსაზღვრეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, მათ იკისრეს ვალდებულება სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა 65 მილიონი ფუთი პური, ანუ 6 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე სახელმწიფო გეგმით არის გათვალისწინებული. (საკდესი).

მედიკამენტებით ეხმარებიან კვიპროსის მოსახლეობას

სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა კვიპროსის რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებს გაუგზავნა მედიკამენტები და შესახვევი მასალები რესპუბლიკის მოსახლეობის დასახმარებლად, რომელიც დაზარალდა თურქეთის ავიაციის თავდასხმების შედეგად. (საკდესი).

ჩვენი დღეების მოწინავე ადამიანები

სურათებზე აღბეჭდილი ადამიანთა სახელები ამშვენებენ იმ მოწინავეთა სიას, რომლებიც ბეჯითად მუშაობენ და თავიანთი შრომით დიდი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში. სურათებზე: (მარცხნიდან) ნ. გუზაბამაძე. იგი ამწის საუკეთესო მემანქანეა ცხინვალის 8-წლიანი სკოლის მშენებლობაზე, ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს.

მეორე სურათზე თქვენ ხედავთ მოხუც კოლმეურნე მ. კიკალიძეს, რომელმაც სანიმუშოდ დაამუშავა 2,5 ჰექტარი და საშუალოდ ჰექტარზე მოელის 70 ცენტნერ სიმინდს ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 50 ცენტნერისა.

მესამე სურათზეა მცხეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადის“ მექანიზატორი ო. სულაშვილი. იგი შეუფერხებლად ამუშავებს კომბაინს და თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების ყოველდღიურ გეგმას 180-200 პროცენტით ასრულებს.

ფოტოები **მ. ალბოროვის**, **ი. ნანიკაშვილისა** და **ი. დავითაშვილისა**. (საკდესის ფოტოკორესპ.).

ყამირის მოსავალი გვახარებს

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები

კუსტანაის ოლქის მშრომელებთან

ნაღგური კომსომოლსკაია (კუსტანაის ოლქი), 12 აგვისტო. (პრეს-ჯგუფი).

ყამირი — ეს სიტყვა მახლობელი და ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. იგი ვაჟკაცობის, გმირობის, შრომითი მამაცობის სიმბოლოა.

ათი წლის წინათ ნიკიტა სერგეი-ძე ხრუშჩოვის ინიციატივით დაიწყო კოპუნისტური მშენებლობის ისტორიის ერთ-ერთი ნათელი ფურცელი — ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის თვალუწვდენ სივრცეებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გმირული ეპოპეა. მშობლიური პარტიის მოწოდებით მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი კომკავშირული საგზურებით, მგზნებარე გულითა და გმირობის წყურვილით ცივ ზამთარში დაიძრნენ ამ მკაცრი ადგილებისაკენ, რათა გაეცოცხლებინათ იგი, სამშობლოს სამსახურში ჩაეყენებინათ მისი სიმდიდრე.

საბჭოთა ადამიანებმა თავდადებული შრომით მოკლე ვადაში ათთვისეს 40 მილიონ ჰექტარზე მეტი ახალი მიწები. ამ მიწებზე აბიბიდან ხორბლის ყანები, გაჩნდა ასობით საბჭოთა მეურნეობის დაბა, აჩუხჩუხდა ცხოვრება.

მარტო ყამირის მხარეში იქამდე ცარიელ 20 მილიონი ჰექტარი მიწა გადაიხნა. აქ შექმნილია 717 საბჭოთა მეურნეობა, არის 92 კოლმეურნეობა. ყამირის მეურნეობანი მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების დიდი ფაბრიკებია. მათ სახნავების დიდი მასივები აქვთ, აღმურვილი არიან პირველხარისხოვანი ტექნიკით.

ათვისებული ყამირი კომუნიზმისათვის მუშაობს. და კარგადაც მუშაობს. გასული 10 წლის განმავლობაში ყამირის მხარის მეურნეობებმა ჩვენს ქვეყანას მისცეს 3,5 მილიარდ ფუთზე მეტი პური, ძირითადად ხორბალი, ბევრი ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა პროდუქტები. ყამირმა არათუ სავსებით აანაზღაურა მისი ათვისების დანახარჯები, არამედ უდიდესი მოგება მისცა სახელმწიფოს.

ახალი მიწების ათვისება ჩვენი ხალხის დიდი გმირობაა, იგი ჰკაფიოდ მოწმობს ჩვენი წყობილების ძალასა და ძლიერებას, ჩვენი პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის სიბრძნეს, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

უმაგალითო შრომითი აღმავლობაა დღეს ყამირის მხარის სოფლის მშრომელებში. მათ სახელოვნად იმუშავეს წელს, შესანიშნავი მოსავალი მოიწიეს. გავა რამდენიმე დღე და დაიწყება მასობრივი მკა. ათიათასობით მექანიზატორი გაიყვანს ყანებში მოსავლის ასაღებ აგრეგატებს და დაიწყება შვიდწლედის მეექვსე წლის დიდი პურისსათვის ბრძოლის გადამწყვეტი ფაზა. ყამირის მხარის სოფლის შრომელებმა ვალდებულება იკისრეს წელს სახელმწიფოს მისცენ 740-775 მილიონი ფუთი პური.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი არაერთხელ ყოფილა ყამირის მხარეში. და ყოველი მისი ჩამოსვლა ნათელი დღესასწაული იყო ამ გმირული მხარის შრომელებისათვის. დიდ მეგობარს, პირველ და საპატიო ყამირელს უწოდებენ ნიკიტა სერგის-ძეს ახალი მიწების დამპყრობნი.

და აი, ახლაც, მეთერთმეტე მკის წინ, ნ. ს. ხრუშჩოვი კვლავ ჩამოვიდა ყამირზე, რათა შეხვდეს და ესაუბროს ხალხს, მოთათბიროს მას პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის წინ.

სადგურ კომსომოლსკაიადან ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი კუსტანაის ოლქის ყამირის ყანებში წავიდა. მასთან ერთად მოგზაურობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. პოლიაკოვი, აგრეთვე ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. იუსუპოვი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ა. კუნაევი, პარტიის ყამირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. კოლომიეცი, ყამირის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ვ. მაცკევიჩი, პარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. მ. ბოროდინი, საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე მ. გ. მოტორიკო და სხვები.

გზა ყარაბალიყის საცდელი სასოფლო-სამეურნეო სადგურისაკენ მიდის. მთელი გზის გასწვრივ გადაშლილია თიმქმის დამწიფებული ხორბლის თვალუწვდენელი ყანები. მწვანედ ბიბინებს სიმინდის, ფეტვის მასივები, ყვავივ წყიბარა.

... ყარაბალიყის სადგური მსხვილი საცდელ-საწარმოო მეურნეობაა. აქ გამოჰყავთ ახალი ჯიშის ხორბალი, ამრავლებენ უხვი რეპროდუქციის თესლს, ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოელა-მოყვანის ყველაზე ეფექტიან წესებს. საწარმოო ნათესებს 12 ათასი ჰექტარი უკავია, მათ შორის მარცვლეულს — 8.900 ჰექტარი, აქედან ხორბალს — 6.900 ჰექტარი, სიმინდს — 980 ჰექტარი, ბარდას — 146 ჰექტარი, წიწიბურას — 107 ჰექტარი.

წლითიწლობით იზრდება მოგება მემცენარეობისა და მეცხოველეობისაგან, თუ 1960 წელს მოგებამ 112 ათასი მანეთი შეადგინა, 1963 წელს შეადგინა 653 ათასი. ამრიგად, საცდელი სადგური არა მარტო ანაზღაურებს მეურნეობის ხარჯზე მეცნიერული მუშაობის დანახარჯებს, არამედ გვარიანი შესატანი შეაქვს სახელმწიფო სალაროში.

სადგურის კოლექტივის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მარცვლეულის ჯიშიანი თესლის მოყვანა საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ოლქის მეურნეობებმა სადგურიდან 210 ათასი ცენტნერი უხვი რეპროდუქციის თესლი მიიღეს. წელს შემოდგომაზე ეს სადგური კიდევ 62 ათას ცენტნერ ჯიშიან მარცვალს შეიტანს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საცავებში. კუსტანაის ოლქში უკვე 86 ათასი ჰექტარი უკავია ხორბლის დარაიონებულ ჯიშებს „ანა-ყიზილის“ და „კუსტანაის-14“, რომლებიც სადგურში გამოიყვანეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი ხორბლის ყანასთან შეჩერდა. სადგურის დირექტორმა ვ. გ. საგოსტინმა და უხუცესმა სელექციონერმა ლ. ვ. პიმენოვამ უთხრეს, რომ აქ დათესილია „ანა-ყიზილის“ ჯიშის ხორბალი. იგი კარგად არის შეგუებული ადგილობრივ პირობებს, რამდენიმე წლის განმავლობაში ჰექტარზე საშუალოდ 23 ცენტნერი ხორბალი მოგვცა.

გზის მეორე მხარეს ფეტვის ნათესებია. — ეს ჯიშია „სარატოვული-853“, — თქვა ვ. გ. საგოსტინმა. — უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მან საშუალოდ ჰექტარზე 16,8 ცენტნერი მოსავალი მოგვცა.

— ვხედავ, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — ფეტვი ორზოლიანი ფართომწკრივიანი წესით დაგითესიათ. ეს კარგია. თქვენს პირობებში ასეთი წესით თესვა ყველაზე ეფექტიანია.

— ჩვენ განუწყვეტლივ ვეძებთ საუკეთესო წინამორბედებს საშემოდგომო ხორბლისათვის, — თქვა სადგურის დირექტორმა, — ვცდით სიმინდს, წიწიბურას, პარკოსნებს, ბარდას. მაგალითად, სიმინდის შემდეგ ხორბლის უფრო უხვ მოსავალს ვიღებთ, ვიდრე მოუთესავ ანეულში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა წიწიბურას ნათესები. მოსავალს, კარგი პირი უჩანს.

— რამდენს იღებთ წიწიბურას? — დაინტერესდა ნიკიტა სერგის-ძე.

— ჰექტარზე 18,9 ცენტნერს. ჩვენ წიწიბურა ფართო მწკრივად დავთესეთ, — თქვა ვ. გ. საგოსტინმა.

— ჭკვიანურია, კარგია, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა იკითხა, როგორ სარგებლობას იძლევა მინერალური სასუქები სადგურის ყანებში. ამხ. საგოსტინმა თქვა, 2,5 ცენტნერი სუპერფოსფატის ფხვნილისა ან ერთი ცენტნერი გრანულირებული სუპერფოსფატის შეტანისას 15-20 პროცენტით მეტ მოსავალს ვიღებთ.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ხორბლის საცდელი სასელექციო ნაკვეთები, დაინტერესდა, რომელი ჯიშის ხორბლის გამოყვანაზე მუშაობენ ამჟამად სადგურის სელექციონერები.

ნიკიტა სერგის-ძეს უჩვენეს ბაღი. მებაღეობა აქ ურწყავია. დიდ მაგიდაზე გამოფენილია პროდუქცია: ვაშლი, ქლიავი, ყურძენი, მოცხარი.

და აი საცდელი სადგურის უკანასკნელი ყანა. ამის იქით იწყება საბჭოთა მეურნეობა „პეშეოვსკი“. აქ, ორი მეურნეობის საზღვარზე ნ. ს. ხრუშჩოვს ხვდებიან საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. ს. ბოგდანოვი, პარტიული ბიუროს მდივანი ვ. ფ. ტიხონოვი, მთავარი აგრონომი ს. ვ. რიკუნი.

საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მათი მეურნეობა წელს სახელმწიფოს მიაწვდის 3 მილიონ ფუთ მარცვალს. ეს გეგმაზე ბევრად მეტია.

ნ. ს. ხრუშჩოვი მანქანიდან გამოვიდა, დაათვალიერა საბჭოთა მეურნეობის ხორბლის ყანა. აქ დათესილია ჯიში „სარატოვული-29“.

— რამდენს მოგცემთ ეს ხორბალი? — იკითხა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა განაცხადა, რომ აქ ჰექტარზე 28-30 ცენტნერ მარცვალს მოიწევენ. სპეციალისტებმა დაათვალიერეს ნათესები, ხელში დაფშვნეს თავთავები. მარცვალი კარგად გაზრდილა.

— სასუქები შეიტანეთ ამ ყანაში? — იკითხა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

— ჩვენ ხმოლოდ დათესვის წინ შეგაფრქვევთ სუპერფოსფატი თესლს, უპასუხა ს. ვ. რიკუნმა.

დაიწყო საბჭოთა მეურნეობა „კოსტრიაკოვსკის“ ყანები. ეს დიდად მექანიზებული სამარცვლე მეურნეობაა. აქ 44 ათასი ჰექტარი სახნავია, რომლის ორი მესამედი დათმობილი აქვს ზამთარ კულტურას — ხორბალს.

4 ათას ჰექტარზე მეტი მიწა უკავია სიმინდს, მნიშვნელოვანი ფართობი აქვს ბარდას, წიწიბურას, სიზეთე სელს. წლითიწლობით მატულობს მეურნეობაში პირუტყვის სულადობა.

— წელს, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ვ. პეტრეგოზნმ, — ჰექტარზე 18-20 ცენტნერ მარცვალს მოვიწევთ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა ეთქვა, თუ როგორია ცენტნერი მარცვლის მოსალოდნელი თვითღირებულება. გამოირკვა, რომ გეგმის მიხედვით საბჭოთა მეურნეობამ ორ მანეთსა და 90 კაპიკზე მეტი არ უნდა დახარჯოს. მაგრამ, როგორც სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, ცენტნერი მარცვალი 2 მანეთი და 36 კაპიკი დაჯდება.

მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის სრული მეცნიერულია, პირფარეთ ტექნიკის გამოყენება ყამირის მიწებზე იაფი მარცვლის მიღების საშუალებას იძლევა. ამის დამაჯერებლად მოწმობს პეშეოვსკის, კოსტრიაკოვსკისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება.

და კვლავ ხორბლის ყანებში მიიკლაკნება გზა. შიგრამ ყამირი მარტო პურს როდი იძლევა. აქ წარმატებით ვითარდება მეცხოველეობა. წარაფთან ფედოროვის სამმართველოს მეცხოველეებმა მოაწყეს იმ ჯიშის სანაშენო პირუტყვის გამოფენა, რომელიც კუსტანაის ოლქში არის გავრცელებული. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი წარმოდგენილია შვიცარიის კომუნისტური პარტიის რიცხობრივი შემადგენლობის შესახებ 1964 წლის 1 იანვრისათვის. პარტიის რიგებში 11.022.369 წევრი და კანდიდატია.

ერთ-ერთი ახალი სტენდი მოგვითხრობს XXII ყრილობისა და მის მიერ მიღებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ.

ხელახლა მოეწყო სტენდი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იბრძვის სა

ვილაყვლოთ საუკეთესო მეურნეობათა მაგალითით

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა 1964 წლის 12 აგვისტოს

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო კუსტანაის ოლქის საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოთა მუშაკებს, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანიზაციებს უამირის ათვისებაში მოპოვებული წარმატებისათვის. ჩვენმა ხალხმა უამირის ათვისებას ხამართლიანად უწოდა დიდი შრომითი გმირობა. ამაში რწმუნდება ყველა, ვინც კეთილი გულით ჩამოდის უამირზე. უამირმა მიწებმა უკვე დიდი ხანია აანაზღაურეს ხახარები, რომლებიც ახლემწიფომ მათ ათვისებას მოახმარა. წელს მეუამირეები ახალ დიდ წვლილს შეიტანენ მარცვლის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ხახელმწიფო რესურსების გადიდებაში.

დღეს მე გამოვიარე კარაბალიკის საცდელი სადგურის, პეშკოვსკის, კოსტრიაკოვსკის, ხტანციონისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების მინდვრები, ვნახე თუ რა უხვი მოსავალი მწიფს მინდვრებში. დიდი კმაყოფილებით მოვისმინე საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა პატაკი, რომ წელს ისინი უდიდეს ფარითობებზე საშუალოდ ჰექტარზე მოიწევენ 20-25-30 ცენტნერ ხორბალს. მიჩვენეს „სარატოვული-29“ ჯიშის ხორბალი, რომელიც, სპეციალისტების აზრით, მოგვცემს ჰექტარზე 40-42 ცენტნერ მარცვალს. ეს არა მარტო ხელსაყრელი კლიმატური პირობების შედეგია. ახალი მოსავალი უწინარეს ყოვლისა მიწათმოქმედების კულტურის ზრდის შედეგია. ყანები, რომლებზეც ყველაზე მეტი მოსავალი უნდა მოვიწიოთ, როგორც წესი, დათესილია საუკეთესო ჯიშის საგაზაფხულო ხორბალი, დაშუშავებულია ჰერბიციდებით ღეჭისა და სხვა სარეველების წინააღმდეგ.

თუ თქვენ შეახრულებთ თქვენს ვალდებულებას და სახელმწიფოს ჩაბარებთ 1 მილიარდ ფუთ მარცვალს, ეს იქნება მეუამირეთა და მთელი საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი გამარჯვება. მაშინ თქვენ კარგად განამტკიცებთ ჩვენი სახელმწიფოს მატერიალურ რესურსებს. ხოლო ვალდებულებებს რომ შეახრულებთ, ყველას სჯერა, ყველა ამხანაგს, ვისაც კი ვესაუბრე. მოსავალსაც კარგი პირი უჩანს, იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ ყაზახურ მილიარდს.

მომეწონა ყოველივე, რაც დღეს ვნახე კუსტანაის ოლქში. ხორბლის შესანიშნავ ვეებერთელა მასივებთან ერთად ვნახე საუკეთესო ფეტვი, კარგი წიწიბურა, სიმინდი, კარტოფილი და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურები.

ახლა მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა მიწათმოქმედების კულტურაზე. ჩვენში მიწათმოქმედების კულტურაზე ხშირად ლაპარაკობენ ზოგადად, მოუწოდებენ — ამამლენო ივი, გააუმჯობესონ და სხვ. უნდა გვახსოვდეს, რომ მიწათმოქმედების კულტურა ეს არის კონკრეტული ცნება ჩვენი ქვეყნის თითოეული ზონის შესაბამისად.

რას ნიშნავს მიწათმოქმედების მაღალი კულტურა? თქვენი ზონის პირობებში? ეს ნიშნავს რომ იქონიოთ საუკეთესო ჯიშების სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ამისათვის კი უნარიანად უნდა მოაწყოთ მეთესლეობა, თესლის სწრაფი გამრავლება, იმისათვის, რომ ამ თესლით უზარმაზარ თითოეული მეურნეობა. უნდა გქონდეთ ნიადაგის დამუშავების ისეთი სისტემა, რომ ყანები გაწმენდილი იყოს სარეველებისაგან. მიწათმოქმედების მაღალი კულტურა თქვენს პირობებში გულისხმობს ბრძოლას ტენის დაგროვებისათვის, რისთვისაც საჭიროა ნიადაგის დასამუშავებელი მანქანების სისტემა და სათოხნი კულტურების დანერგვა. ხოლო რომელ სათოხნ კულტურას დანერგავთ, ეს ცალკეული მეურნეობის პირობებში უნდა გადაწყვიტოთ. მიწათმოქმედების კულტურასთან დაკავშირებულია მინერალური სასუქების ეფექტიანი გამოყენება, ადგილობრივი შესაძლებლობების გამოყენება ორწყვეს განვითარებისათვის და სხვ.

ყველა ეს საკითხი განხილული იქნება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე. ვფიქრობ, რომ კუსტანაის ოლქისათვის, ისე როგორც მთლიანად უამირის მხარისათვის, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მაგალითია კარაბალიკის საცდელი სადგური. დღეს სადგურის დირექტორმა ამხ. ვლადიმერ გრიგოლის-ძე სავოსტანმა და სელექციონერმა ამხ. ლიდია ვასილის ასულმა პიმენოვამ დამათვალიერებინეს უანები, სასელექციო ნათესები. სასიამოვნო სანახავი იყო, რომ საცდელი სადგური პაკარა ნაკვეთებზე არ აწარმოებს თავის მუშაობას. მას აქვს 18 ათასი ჰექტარი სახნავი, იგი ჯიშიანი თესლის უდიდესი მწარმოებელია. აქვე უნდა ითქვას, ამხ. სავოსტინმა მითხრა, რომ საცდელი სადგური მთლიანად არსებობს იმ მოგებით, რომელსაც იღებს თავისი წარმოებისაგან. ამ მოგებით შენდება საცხოვრებელი სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობები. უკანასკნელი 8 წლის მანძილზე საცდელმა სადგურმა მოიწია მარცვლეული კულტურების მოსავალი საშუალოდ 15,1 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო უფრო ხელსაყრელ წლებში სადგურის კოლექტივს მოჰყავს 25 ცენტნერი და მეტი მარცვალი ჰექტარზე. ეს კარგი მაგალითია სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის.

რა უზრუნველყოფს ასეთ წარმატებებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქამდე სადგურს საშუალება არა ჰქონდა ნიადაგში შეეტანა მინერალური სასუქები? უხვი მოსავალი აქ მოჰყავთ უმთავრესად მიწათმოქმედების კულტურის შედეგად. თვითეულ უანაში დათესილია საუკეთესო ჯიშიანი თესლი. ხორბალს თესავენ ყველაზე ძვირფასი წინამორბედების შემდეგ, როგორიცაა სიმინდი, ბარდა, წიწიბურა, ფეტვი, რომლებიც დათესილია ფართო მწკრივიანი წესით. მინდვრის სამუშაოს აწარმოებენ იმ ვადებში, რომლებიც საუკეთესოა მოცემული ზონისათვის.

შეუძლიათ თუ არა საბჭოთა მეურნეობებს ასეთ წარმატებით მოაწყონ წარმოება? ვფიქრობ, რომ შეუძლიათ, თუ მიწათმოქმედების კულტურის შესახებ ზოგადი ლაპარაკის ნაცვლად გონიერულად გადაწყვეტენ მეთესლეობის, ნიადაგის დამუშავების საკითხებს, შეისწავლიან იმ მეურნეობათა გამოცდილებას, რომლებიც კარგად არჩევენ დროს ხორბლეულ და სხვა კულტურების თესვისათვის, სარეველებთან ბრძოლისათვის, როგორც ჰერბიციდების დახმარებით, აგრეთვე აგრონომიული ხერხების გამოყენებით.

აქ გამოვიდა ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ნ. გ. ხვანი. მე ადრეც მსმენია ამ შესანიშნავი დირექტორის შესახებ. მაგრამ დღეს შესაძლებლობა მომეცა მომესმინა მისი სიტყვა, შეგრძნო, თუ რამდენად ღრმად იცნობს იგი წარმოებას და რა ენერგიით ნერგავს თავის მეურნეობაში ყოველივე ახალს, რაც საცდელ სადგურში იბადება.

აქ ყამირელმა სპეციალისტებმა თქვეს, რომ თქვენი მხარის ნიადაგს, უწინარეს ყოვლისა ფოსფორიანი სასუქები სჭირდება. თქვენ მოიყვანეთ მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ერთი ცენტნერი გრანულირებული სუპერფოსფატი, რომელიც მწკრივებში თესვის დროს არის შეტანილი, იძლევა მოსავლის მატების 1,5-2 ცენტნერს ჰექტარზე. ვფიქრობ, რომ უნდა გამოვიტანოთ იმის საშუალებანი, რათა დავაკმაყოფილოთ ყამირის საბჭოთა მეურნეობების მინიმალური მოთხოვნილება ფოსფორიან სასუქებზე.

როგორც ჩანს, უახლოეს ერთ-ორ წელიწადში სახელმწიფო რესურსებიდან ყამირს ვერ მივცემთ საკირო რაოდენობით ნიტროგენურ სასუქებს. მოიფიქრეთ, ხომ არ შეიძლება გამოძებნოთ რაიმე ადგილობრივი რეზერვები. თქვენთან, ყაზახეთში ფოსფორიტების მდიდარი საბადოებია, იქიდან რომ კონცენტრირებული სასუქები მიიღოთ საჭიროა დიდძალი მადნის გადამუშავება, საჭიროა ქიმიურ საწარმოთა მთელი კომპლექსი. ახლა ჩვენი ქვეყანა წყვეტს ამ ამოცანას, ყაზახეთში ფართო მასშტაბით მოეწყობა ფოსფორიანი სასუქების წარმოება. მაგრამ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობისათვის გარკვეული დროა საჭირო.

ხომ არა გაქვთ შესაძლებლობა უფრო მარტივი საშუალებებით აწარმოოთ ფოსფორიანი სასუქები? როცა ჩელიაბინსკის ოლქში გავიარე, ჩელიაბინსკელებმა ერთი საინტერესო ამბავი მითხრეს. ოლქის ტერიტორიაზე არის ფოსფორიტების საბადოები. მათ იღებენ, აშრობენ, ფქვავენ. ამას აკეთებს პატარ-პატარა ცემენტის ქარხნები, რომლებსაც ამჟამად არ იყენებენ ცემენტის წარმოებისათვის. ჩელიაბინსკელები ამტკიცებენ, რომ ასეთი წესით დამზადებული ფოსფორიანი სასუქები კარგ გავლენას ახდენენ ნათესის განვითარებაზე და იძლევიან მოსავლის მატებას. იქნებ თქვენთანაც ღირს, რომ დროებით ასეთ გზას დაადგეთ. ხოლო, როცა მრეწველობა საკმაო რაოდენობით აწარმოებს ფოსფორიან სასუქებს, მაშინ შესაძლებელი იქნება მთლიანად დავაკმაყოფილოთ ყამირის რაიონების მოთხოვნილება.

ვე მომეწონა ამხ. ხვანის ნათქვამი საბჭოთა მეურნეობაში მეთესლეობის საქმის დაყენების შესახებ. მან თქვა, რომ საბჭოთა მეურნეობა თესავს რამდენიმე ჯიშის ხორბალს — საადრეოსა და საგვიანოს, თავთუხსა და რბილ ხორბალს. ეს საშუალებას აძლევს მეურნეობას ყოველ წელიწადში ზოგიერთი ჯიშის მოუსავლიანობა აანაზღაუროს სხვა ჯიშების კარგი მოსავლით. გამოცდილება, რომელზეც ამბ. ხვანმა ილაპარაკა, სერიოზული უყურადღების ღირსია. თუ საბჭოთა მეურნეობა თესავს სხვადასხვა ჯიშს, მას შესაძლებლობა ეძლევა უკეთესად მოაწყოს მოსავლის აღება პურეულის დამწიფების კვალობაზე, თავიდან აიცილოს დანაკარგები.

ამაში ადვილად დარწმუნდებით საცდელი სადგურის უანების დათვალიერების დროს. ზოგიერთი ჯიშის ხორბალი უკვე დამწიფდა, ორი-სამი დღის შემდეგ შეიძლება მკის დაწყება, სხვა ჯიშები ბაზის სტადიაშია და მათი აღება ვადა ალბათ ათიოდე დღის შემდეგ დადგება.

ხმა ადგილიდან: ეს ძალიან სწორია. მეურნეობა, რომელიც სხვადასხვა ჯიშს თესავს, ყოველთვის უკეთეს მდგომარეობაშია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენს ოლქში და, როგორც ჩანს, მთელ ყამირის მხარეში უნდა გაიფართოოთ სათოხნი უანები. ახლა პრაქტიკულად თქვენ თესავთ მხოლოდ ერთ სათოხნ კულტურას — სიმინდს. მეურნეობათა ხელმძღვანელები ჩიოდნენ, რომ მათ სათოხნი კულტურების პატარა არჩევანი აქვთ. ვფიქრობ, რომ თქვენ გაქვთ საშუალება გაამდიდროთ ეს არჩევანი. ვთხოვ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და სპეციალისტებს მოიფიქრონ, როგორ დათესონ წიწიბურა ორზოლიანი ფართომწკრივიანი წესით. ახლომახლო საბჭოთა მეურნეობებში ნიადაგის პირობები და ნალექთა რაოდენობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც საცდელ სადგურში. საცდელი სადგური კი წიწიბურას თესავს ფართომწკრივიანი წესით და იწევს უხვ მოსავალს. თქვენ მოისმინეთ ციფრები, რომლებიც აქ ამბ. ხვანისგან მოიყვანა. უფრო ხელსაყრელ წლებში სადგურის უანებში წიწიბურა იძლევა 18-20 ცენტნერს ჰექტარზე, ნაკლებად ხელსაყრელ წლებში — 10-12 ცენტნერს.

რატომ ვუწევ აგიტაციას წიწიბურას? ჯერ ერთი ეკონომიური თვალსაზრისით ეს ხელსაყრელი კულტურაა, მისი ანაზღაურება ბევრ სხვა კულტურაზე უფრო დიდია. ერთ ცენტნერ ხორბალს სახელმწიფო იყიდულობს 4 მანეთად და 50 კაპიკად, ხოლო ცენტნერ წიწიბურას — 27 მანეთად. აბა, იანგარიშეთ, რა შემოსავალს მოგაკეთებ ეს კულტურა, თუ ჰექტარზე 18 ცენტნერს მოიწევთ, რაც უკვე მიღწეულია საცდელ სადგურში. მეორე, წიწიბურა შესანიშნავი სასუსანთო კულტურაა. ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონის მოსახლეობა მიეჩვია მას. რუსებს, უკრაინელებსაც ბრინჯს წიწიბურა ურჩევნიათ, სხვებს შეიძლება არ უყვართ წიწიბურა და ბრინჯი ურჩევნიათ. ვხედავ, რომ ამბ. ხვანს ეღიმება, როგორც ჩანს, მასაც ბრინჯი ურჩევნია წიწიბურას. მერე რა, ზოგიერთისათვის წიწიბურა ვაწარმოოთ, ზოგისათვის კი ბრინჯი.

მაგრამ, ვინაიდან ჯერჯერობით ყამირზე ბრინჯი არ იზრდება, ხოლო წიწიბურა შესანიშნავ მოსავალს გვაძლევს, გთხოვთ მოიფიქროთ, როგორ გაზარდოთ ამ კულტურის წარმოება. უკვე დიდიხანია მე წიწიბურას ფართომწკრივიანი თესვის მომხრე ვარ. ეს შესაძლებლობას ქმნის ორჯერ-სამჯერ დავამუშაოთ ნათესი, ზოგჯერ კი ერთი დამუშავებითაც დავკმაყოფილდეთ. წიწიბურა დატოტვილი კულტურაა. მისი მწკრივები მალე ერთდება და მცენარე თვითონ სპობს სარეველებს. თვალწინ უფროსმა ბ. ა. გრიშჩენკომ. მაგრამ აი, ამ მხარეში მოვიდნენ ენერგიული, ხალისიანი ადამიანები და თავისი შრომით გარდაქმნეს იგი. ყამირზე ბევრია კარგი საბჭოთა მეურნეობა. ასეთები ჩვენს სამმართველოშიც არის. ჩვენ ვეუშაობთ იმისათვის, რომ გავაგრძელოთ საუკეთესოთა გამოცდილება, მეენერგულ საფუძველზე ვაწარმოოთ მეურნეობა.

ჩვენი სამმართველოს მეურნეობებს დიდ დახმარებას უწევს კარაბალიკის საცდელი სადგური. კერძოდ, წლევანდელ გაზაფხულზე სადგურის მუშაკები კონსულტაციას უწევდნენ მეურნეობათა სპეციალისტებს როგორ აჯობებდა წლევანდელი გაზაფხულის კონკრეტულ პირობებში ეწარმოებინათ მინდვრის სამუშაოები, სარეველებთან ბრძოლა.

— მინდვრის სამუშაოთა საგაზაფხულო ციკლი, — განაგრძო ბ. ა. გრიშჩენკომ, — ასეთი გვქონდა: ტენის დახურვა, შემდეგ ათშავა (სარეველების პროფილაქტიკა) და შემდეგ ზედიზედ თესვა და ნიადაგის მიტკეპნა. ალმონაცენი მივიღეთ თაბაშირი, ნათესების ნაწილი ჰერბიციდებით დავამუშავეთ. ახლა ამ ნაკვეთებზე სარეველები არ არის. ამჟამად 180 ათასი ჰექტარზე ხორბალი ძალიან კარგ მდგომარეობაშია.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა იკითხა, რამდენი უჯდებათ ერთი ჰექტარის დამუშავება ჰერბიციდებით.

ბ. ა. გრიშჩენკომ უპასუხა, რომ ერთი ჰექტარის მოფრქვევა ღირს 2 მანეთი, ხოლო ასეთ ჰექტარზე მოსავლის ნამატია 3-4 ცენტნერი მარცვალი, ანუ 9-12 მანეთი. მოგება თვალსაჩინოა.

ახლა ჩვენს მეურნეობებში ვნერგავთ ჰერსპექტიული ჯიშების ხორბალს „კუსტანაის-14“ და „ხალხურს“. ამ საქმეშიც გვეხმარება ის, სადაც ამ ჯიშებს ამარაგებს ამ ჯიშების თესლით.

სიტყვა წარმოთქვა ნ. გ. ხვანმა — ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა. ეს მეურნეობა ფართოდ არის ცნობილი ყამირის მხარეში. ამ საბჭოთა მეურნეობის მშრომელები მყარ მოსავალს იწევენ.

—1959 წელს, — თქვა ამბ. ხვანმა, — ჩვენმა კოლექტივმა საშუალოდ ჰექტარზე მოიწია 17,9 ცენტნერი მარცვალი, 1960 წელს — 12,7, 1961 წელს — 9,7, 1962 წელს — 12,8 და 1963 გვალვიან წელს საშუალოდ ჰექტარზე 8,8 ცენტნერი მარცვალი. ხუთი წლის მანძილზე მოსავალმა ჰექტარზე საშუალოდ შეადგინა 12,4 ცენტნერი. ეს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის ბეჯითი ბრძოლის შედეგია. ნიადაგის ნათესების ნახევარზე მეტი ჩვენში დათესილია ისეთ წინამორბედებზე, როგორიცაა სიმინდი, ბარდა, ბარკოსნები. გვაქვს ანეულიც — სახნავის 10-15 პროცენტი.

ჩვენი მეურნეობის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა გვქონდეს სამი ჯიშის საგაზაფხულო ხორბალი. წელს ხორბალი დავთესეთ 22,5 ათას ჰექტარზე. მათ შორის „სარატოვული-29“ დავთესეთ 15 ათას ჰექტარზე, „ყანა-ყაზალი“ — 7 ათას ჰექტარზე და „კუსტანაის-14“ ჯერჯერობით დაახლოებით ათას ჰექტარზე. სამი ჯიშის დანერგვა შესაძლებლობას მოგვცემს ყოველწლიურად მოვიწიოთ მყარი მოსავალი, იმიტომ, რომ ამ ჯიშებიდან რომელიმე იმ წლის პირობებში მოგვცემს მაქსიმალურ მოსავალს. ჩვენ განსაკუთრებულ იმედს ვამყარებთ „ყანა-ყაზალის“ ჯიშის ხორბალზე. ეს ჯიში შექმნა ლ. ვ. პიმენოვამ. ამ ჯიშის ხორბალი კარგად ეტანს ივნისის სიცხეს, არ წვება.

— ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობა, — განაგრძო ამხ. ხვანმა, — რეტაბელური მეურნეობაა. ინ როგორი მოგებით დავამთავრეთ ბოლო წლები: 1959 წელს — 350 ათასი მანეთი, 1960 წელს — 354 ათასი, 1961 წელს — 406 ათასი, 1962 წელს — 565 ათასი და 1963 წელს — 100 ათასი მანეთი. სულ კი ბოლო ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 1.775 ათასი მანეთი მოგება.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ პურის წარმოების ადიდებასთან ერთად ყოველწლიურად სახელმწიფოს მისცეს მეტი ხორცი და რძე.

ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს გამოუყენებელი რეზერვი. მეყამირეები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ უფრო სწრაფად ამამჭედონ ეს რეზერვები, საშობლო გაახარონ ახალი წარმატებებით.

— კარგია! ბარაქალა თქვენ, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი.

ფედოროვსკის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. მ. გოლუბენკომ თავის გამოსვლაში თქვა:

— შარშან ფედოროვსკის სამმართველოს მშრომელები ვალში დარჩნენ სახელმწიფოს წინაშე. ახლა ამ ვალს გადაჭრიბებით დავფარავთ. მეყამირეებმა უხვი მოსავალი მოიწიეს, მეტ ხორცს მოვიწევენ ბაზრებში. ამ ზაფხულ ჩვენ საწარმოო სამმართველოსაგან სამშობლო მიიღებს 25 მილიონ ფუთ პურს.

აქ ილაპარაკეს კარაბალიკის საცდელი სადგურის საქმიანობის კარგ შედეგებზე. მინდა აღვნიშნო, რომ მისი კოლექტივი, სადგურის დირექტორი ამხ. სავოსტინი, სელექციონერი ამხ. პიმენოვა და სადგურის სხვა მეცნიერი მუშაკები დაკავშირებული არიან წარმოებასთან. ისინი ეხმარებიან მიწათმოქმედებს აგროტექნიკის ახალი წესების, უფრო მოსავლიანი ჯიშების დანერგვაში. მეცნიერები ჩვენი საუკეთესო თანაშემწენი არიან წარმოების ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლაში.

მინდა შევეხო კიდევ ასეთ საკითხს. ყამირის საბჭოთა მეურნეობებს დიდი განყოფილებები აქვს. მათ აქვთ ექვსშვიდი ათასი და უფრო მეტი ჰექტარი მიწა, ბევრი ტექნიკა. აქ ზრკოვობს ათობით, ზოგჯერ კი ასობით მუშა. ასეთ კოლექტივს სათავეში უნდა ედგეს კვალიფიციური სპეციალისტი, უნარიანი ორგანიზატორი. ჩვენი აზრით, საჭიროა ყამირის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველის ხელფასი გავუთანაბროთ მეურნეობის მთავარი სპეციალისტის ხელფასს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. დავავალებ შეისწავლონ იგი.

ვ. მ. გოლუბენკო. ყამირის მშრომელები, რომლებსაც ახარებთ უხვი მოსავალი, ახლა ზრუნავენ იმისათვის, რომ დროულად აიღონ მთელი პური, არ დაკარგონ არც ერთი ცენტნერი მარცვალი. მოსავლის აღებისათვის მზადების დამთავრებასა და მის წარმატებით განხორციელებას ხმარდება მექანიზატორთა, სპეციალისტთა, პარტიულ ორგანიზაციათა მთელი ძალები.

ბაბეთა მეურნეობა „პეშკოვსკის“ მშრომელთა საქმეების შესახებ ილაპარაკა მეურნეობის დირექტორმა ვ. ს. ბოგდანოვმა:

— ჩვენს მსხვილ მეურნეობას 50 ათასი ჰექტარი სახნავი აქვს, აქედან 34 ათას ჰექტარზე დათესილია მარცვლეული კულტურები, მათ შორის 29 ათას ჰექტარზე — ხორბალი. გასულ წელსაც კი, რომელიც ძალზე გვალვიანი წელი იყო, საშუალოდ ჰექტარზე მოვიწიეთ 7,6 ცენტნერი პური. სამარცვლე მეურნეობა რენტაბელური აღმოჩნდა. მაგრამ ცენტნერი მარცვალი დაგვიჯდა 4 მანეთი და 54 კაპიკი. ასეთი შედეგები, რა თქმა უნდა, ვერ დაგვკმაყოფილებდა.

ახლა საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მოიწიოს მარცვლეულისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი. მხვნელ-მთესველებმა ყამირის ათვისების წლების მანძილზე დიდი გამოცდილება შეიძინეს. წესრიგი დავამყარეთ მინდვრებში, ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა.

სახელმწიფომ კარგად აღჭურვა ტექნიკით ჩვენი საბჭოთა მეურნეობა, რამაც საშუალება მოგვცა ძირითადი სამუშაოები შეგვესრულებინა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში. მხვნელ-მთესველებმა წელს შეიტანეს 9 ათასი ტონა კომბოსტი, 19 ათასი ჰექტარი მარცვლეულის ნათესი გამარგლეს ჰერბიციდების დახმარებით.

ახლა უკვე მოსავალზეც შეიძლება მტკიცედ ვილაპარაკოთ. თქვენ, ნიკიტა სერგის-ძევ, ბევრი ჩვენი მინდორი ნახეთ. ვფიქრობ, საერთოდ ჰექტარზე მოვიწევთ სულ ცოტა 20 ცენტნერ მარცვალს. და თუ ადრე დაგეგმილი გვქონდა სახელმწიფოსათვის ჩაგვებარებინა 2.600 ათასი ფუთი მარცვალი, ახლა შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი ქვეყნის ბელღებში შევინახოთ 3 მილიონი ფუთი. ერთი ცენტნერი მარცვლის ღირებულება წელს შეადგენს 1 მანეთს.

ნიკიტა სერგის-ძევ, ნება მიბოძეთ გადმოგცეთ მეყამირეებისაგან ჩვენი ხორბლის ნიმუშები.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ყამირის მოსავალი გვახარებს

(დასასრული)

ჯიშებით: ველის წითელი, ლიტვური შავბრელი, ყაზახური თავთეთრი და ლატვიური წაბლა. დემონსტრირებულია აგრეთვე რამდენიმე ჯიშის ცხვარი და ღორი, კუსტანაის ჯიშის ცხენები.

გამოფენის დათვალიერების დროს ნიკიტა სერგის-ძე გაეცნო გამოფენაზე წამოდგენილი ძროხების წველადობას, რძეულიანობას, ღორებისა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის წონამატებას, საკვების დანახარჯს.

სლავიანსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის მწველავმა ტ. ი. ოფსიანაკოვამ თქვა, რომ ველის წითელი ჯიშის თვითეული ძროხაზე იღებს 3.350-3.370 კილოგრამ რძეს, რომლის ცხიმიანობა 3,84 პროცენტია.

— წველადობა კარგია, რძეულიანობა კი ნაკლები, — შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა. გაიმართა საუბარი ამის შესახებ, რომ საჭიროა ჯიშთასანაწილო მუშაობის გაუმჯობესება მეცხოველეობაში, პირუტყვის ხელოვნური დაოსლვის საქმის სანმეუშო ორგანიზაცია.

უანების დათვალიერების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია საბჭოთა მეურნეობა „პეშკოვსკის“ ცენტრალურ მამულს. კლუბში შეიკრიბნენ საბჭოთა მეურნეობების მუშები, მექანიზატორები, განყოფილებათა მმართველები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ხელმძღვანელები. აქვე იყვნენ ფედოროვსკისა და კომსომოლსკის სამმართველოების მთელი რიგი მეზობელი მეურნეობების სპეციალისტები და ხელმძღვანელები, კარაბალიკის საცდელი სადგურის მეცნიერი თანამშრომლები.

შეკრებილთა სახელით აბხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ყამირ მიწაზე მიესალმა პარტიის კუსტანაის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. ბოროდინი.

სიტყვა წარმოთქვა კარაბალიკის საცდელი სადგურის დირექტორმა ვ. გ. სავოსტინმა.

— უკანასკნელი რვა წლის მანძილზე, — თქვა მან, — მარცვლეული კულტურების მოსავალი სადგურის უანებში იყო 15,1 ცენტნერი ჰექტარზე. ყველაზე უხვი მოსავალი მოვიწიეთ 1959 წელს — 26,5 ცენტნერი. რა უზრუნველყოფს ასეთ მოსავალს? უწინარეს ყოვლისა მიწათმოქმედების კულტურა, რომელიც წლითიწლობით მაღლდება. ამასთან უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ჯიშების შერჩევას. ყოველწლიურად მარცვლეულის კარგ მოსავალს გვაძლევს ხორბალი „სარატოვული-29“. იგი დათესილია ათასობით ჰექტარზე. კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს „კუსტანაის-14“ ჯიშის ხორბალი, რომელიც გამოიყვანა ჩვენი სადგურის შესანიშნავმა სელექციონერმა ლიდია ვასილის ასულმა პიმენოვამ. ეს ჯიში გვაძლევს 42 ცენტნერამდე მარცვალს ჰექტარზე. საწარმოო ნათესებში დიდი ადგილი უკავია ხორბალ „ყანა-ყიზილს“. ამ ჯიშს კარგი პურსაცხობი თვისებები აქვს.

მეტად სერიოზული საკითხია ხორბლის წინამორბედთა შერჩევა. ზოგიერთ მეცნიერსა და სპეციალისტს მიაჩნია, რომ ყამირზე ძნელია მყარი მოსავლის მოყვანა, თუ არ გვექნა მოუთესავი ანეული. მაგრამ ეს ასე როდია. ყამირის რაიონებში გარკვეული რაოდენობით უნდა გვქონდეს ანეული, და ვერავინ ვერ დააკნინებს მის მნიშვნელობას.

ეს საკითხი ეკონომიური თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. ჩვენ ხორბალს სიმინდის შემდეგ ვთესავთ და მოგვყავს ხორბლის უხვი მოსავალი. გარდა ამისა, მოთესილმა ანეულმა უკანასკნელ 8 წელიწადში საშუალოდ მოგვცა 239 ცენტნერი სამინდის მწვანე მასა ჰექტარზე. ეს მცირე მოგება როდა.

ხორბლის წინამორბედებად სადგური ცდის ბარდას, ცერცს, წიწიბურას, ფეტვსა და სხვა კულტურებს. ყველა შემთხვევაში მოთესილი ანეული შესანიშნავ შედეგს იძლევა. შარშან წიწიბურას საშუალო მოსავალი ორზოლიან ნათესში 18,9 ცენტნერს შეადგენდა ჰექტარზე. ფეტვისა ფართომწკრივიან ნათესში 16-17 ცენტნერს. კარგ მოსავალს გვაძლევს ბარდა.

აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ხორბლის მოსავლიანობის გაზრდისა და მარცვლის მთლიანი მოსავლის გადიდებისათვის მნიშვნელოვნა აქვს წინამორბედთა გონივრულ ნერჩევას. მაზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მეურნეობებს ნათესთა სტრუქტურაში ჰქონდეთ მოთხრეს, რომ წიწიბურაზე კარგად მოქმედებს ივლისის ნალექები. თქვენში კი, როგორც წესი, წვიმიანი ივლისი იცის. მაშასადამე, კარგი პირობებია წიწიბურას უხვი მოსავლის მისაღებად.

წინათ მიაჩნდათ, რომ წიწიბურას მოსაყვანად ყველაზე ხელსაყრელი რაიონებია ჩერნიგოვის, სუმის და უკრაინის ზოგიერთი სხვა ოლქები. მაგრამ იქ მოჰყავთ 7-8 ცენტნერი წიწიბურა ჰექტარზე. ხოლო, თუ მოიწევენ 9-12 ცენტნერს, ეს უკვე კარგ მოსავლად ითვლება. მარტო ცალკეულ კოლმეურნეობებში მოჰყავთ 20 და მეტი ცენტნერი. თქვენში კი, როგორც აქ აღნიშნეს, წლითი-წლამდე წიწიბურა საკმაოდ მყარ მოსავალს იძლევა — 15-18 და მეტ ცენტნერს. ამბ. ხვანმა, რამდენ წიწიბურას მოიწევთ წელს საცდელ სადგურში?

ვ. ბ. სავოსტინი. ვფიქრობთ, რომ სულ ცოტა ჰექტარზე 18 ცენტნერის მოწევას შეეძლებთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ხომ ხედავთ, რა შესაძლებლობები გაქვთ. რასაკვირველია, ახლა ძნელია წიწიბურას მოსავლის განსაზღვრა. ზოგჯერ ასეც ხდება, წიწიბურა მაღალია, ხშირი, ყვავილ, ასე გგონია უხვი მოსავალი იქნებაო, შემდეგ კი გამოერევა რამდენიმე ცუდი დღე, და მოსავალი მცირდება. მართალია, სხვა რაიონებთან შედარებით, თქვენში წიწიბურას უფრო მყარი მოსავალია, და, როგორც ჩანს, წლევანდელი პროგნოზი მოსავლიანობის შესახებ მცდარი არ გამოდგება.

შესანიშნავი ფეტვი ხარობს თქვენს მიწებზე. ერთი უანა მაჩვენეს, სადაც ადგილობრივი სპეციალისტების აზრით, მოიწევენ 40-42 ცენტნერ ფეტვს ჰექტარზე. განსაკუთრებით მომეწონა ფეტვი, რომელიც სადგურ სადგურში ვნახე. იქ ფეტვს ზოლიანი ფართომწკრივიანი წესით თესავენ. ფეტვის მყარი მოსავლის მიღება მხოლოდ ფართომწკრივიან ნათესში შეიძლება, თანაც აუცილებლად ორჯერ-სამჯერ უნდა დამუშავდეს ნათესები. ხოლო, როცა უანები გაიწმინდება სარეველებისაგან და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები შეიძენენ ფეტვის თესვა-მოყვანის გამოცდილებას, შეიძლება ზოგიერთი მეურნეობა მთლიან თესვაზე გადავიდეს. მოწინავე მეურნეობებში ფეტვის მთლიანი ნათესები უხვ მოსავალს იძლევიან. ახლა ჩვენ გვაქვს ჰერბიციდები ფეტვის ნათესებში სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც დაგვეხმარება კიდევ უფრო ეფექტიანად მოვიყვანოთ ეს კულტურა.

რამდენიმე სიტყვა მოუთესავი და მოთესილი ანეულის შესახებ. ამაზე უკვე ვესაუბრე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ყამირ მიწებზე ეს ყველაზე მნვავე საკითხია. მე არასოდეს არ ვყოფილვარ და არც ვიქნები მოუთესავი ანეულის წინააღმდეგი, თუ მისი გამოყენება ეკონომიურად გამართლებულია. თქვენს პირობებში შეიძლება საჭიროც არის გარკვეული რაოდენობით ანეული სარეველებ

ჩვენი პლანეტა გუშინ და დღეს

გოლდუოტერი მუნდირს იცვლის

თურქი გენერალი იმუქრება

მუშვიდობიანი თანაარსებობის იდეა გაიმარჯვებს

დელი, 12 აგვისტო. (საკდესი). ჩვენ მივესალმებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებას მოძმე პარტიების იმ ფართო მოთხოვნათა პასუხად, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირის წინ მოეწყოს საერედაქციო კომისიის მოსამზადებელი შეხვედრა, განაცხადა ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს წევრმა პ. ჩ. ჯოშმ.

ინდოეთის კომპარტიამ, თქვა მან, ერთ-ერთმა პირველმა მოითხოვა ასეთი შეხვედრის მოწყობა. ჩვენ ვიზიარებთ სხვა პარტიების შეშფოთებას იმ იდეოლოგიურ ხაზთან დაკავშირებით, რომელსაც ჩინეთის ხელმძღვანელები ებრძვიან. მსოფლიოს კომუნისტური პარტიების წარმომადგენლთა შეხვედრა ჩვენთვის საარსებო აუცილებლობაა. ჩვენ აღტაცებული ვართ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის დიდი მოთმინებითა და სიმტკიცით, რომელიც ჩინეთის ცილისწამებისა და პროვოკაციების მიუხედავად ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს, რათა დაარწმუნოს ჩინეთის კომპარტია მონაწილეობა მიიღოს თათბირში.

დასასრულ ამხანაგმა ჯოშმ გამოთქვა გულწრფელი იმედი, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა, ბოლოს და ბოლოს, გონივრულად მოიქცევა და უურად იღებს მოძმე პარტიათა მოწოდებას. მაგრამ, თუ იგი კვლავ უარს იტყვის კონფერენციაში მონაწილეობაზე, ხაზი გაუსვა ჯოშმ, ამით მხოლოდ დაამტკიცებს, რომ მისი საბოლოო მიზანია გათიშვა. ეს კი ყველა პატიოსანი კომუნისტის თვალში დანაშაულია.

კოპენჰაგენი, 12 აგვისტო. (საკდესი). დანიის პრესა დიდი უურადღებით ეკიდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებას კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლთა საერთაშორისო თათბირის მოწვევის შესახებ.

დანიის დეპეშათა ბიურომ სთხოვა დანიის კომპარტიის თავმჯდომარეს კნუდ ესპერსენს თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხზე.

ჩვენ მთლიანად და სავსებით ვუერთდებით წინადადებას საერთაშორისო თათბირის მოწვევის შესახებ და ვაპირებთ მონაწილეობას მის მუშაობაში, თქვა კ. ესპერსენმა. იმედი გვაქვს, რომ ყველა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თათბირში, ხელს შეუწყობენ არსებულ უთანხმოებათა გადალახვას.

ჩვენ გვწამს სოციალიზმში მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობა. ჩვენ გვწამს მშვიდობის გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არსებობს ომის საფრთხე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას, ვინაიდან იგი არის მსოფლიო ომის ერთადერთი ალტერნატივა.

ჩვენ სავსებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის შენარჩუნება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უარვყოფთ ჩინეთის ხელმძღვანელთა კრიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თათბირის შედეგები დადებითი იქნება, ვინაიდან გვჯერა, რომ შეიძლება გადაილახოს აზრთა წინააღმდეგობა, აღნიშნა დასასრულ კ. ესპერსენმა.

ლ. ჯონსონის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ ამერიკის იურისტთა ასოციაციის წინაშე სიტყვა წარმოთქვა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა. მან განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს მოქალაქეობრივ უფლებათა კანონი. „ვერ შევურიგდებით, — თქვა მან, — იმას, რომ ამერიკის რომელიმე ნაწილი გადაიქცეს ჯუნგლებად, სადაც ძლიერი სუსტს ჩაგრავს“.

შეეხო რა ომს, რომელსაც შეერთებული შტატები აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, პრეზიდენტმა გაიმეორა ძველი მოსაზრებანი ამერიკის შეერთებული შტატების „ვალდებულებათა“ შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ქვეყნის „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის“ დაცვაში.

პრეზიდენტმა სავსებით მოიწონა შეერთებული შტატების პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამში.

კვიპროსის კრიზისში, თქვა ჯონსონმა, შეერთებული შტატები მოვალენი არიან დაიხმარონ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირს თავიდან აიცილოს დაშლის საფრთხე, რომელიც შეიქმნა იმის გამო, რომ ნატოს ორი წევრი — საბერძნეთი და თურქეთი — „ომის ზღვარზეა“.

ლიდერთა თათბირი

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). გუშინ რესპუბლიკური პარტიის ლიდერები შეიკრიბნენ თათბირზე წინასაარჩევნო ბრძოლის სტრატეგიის შესამუშავებლად. „შოკოლადის“ ქალაქ ჰერშეში, პენსილვანიის შტატი, რომელიც ცნობილია თავისი საკონდიტრო საწარმოებით, ჩავიდნენ რესპუბლიკელთა კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე სენატორი გოლდუოტერი, კონგრესმენი მილერი, რომელიც ვიცე-პრეზიდენტის სავარძლისათვის იბრძვის, ეიზენჰაუერი, ნიქსონი, რესპუბლიკელი გუბერნატორები და გუბერნატორობის კანდიდატები. თათბირში მონაწილეობენ ადრეთვე გოლდუოტერის ყოფილი მოწინააღმდეგეები „ლიბერალები“ სკრენტონი და როკფელერი და სხვა რესპუბლიკელი ლიდერები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ყრილობამდე გოლდუოტერის შეხედულებებს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე და ბერჩიტელებთან მეგობრობას.

რესპუბლიკელთა თათბირი უმაღლეს დონეზე დახურულ დარბაზში მიმდინარეობს.

დღეივანდელ თათბირზე ოფიციალური სიტყვაში, რომლის ტექსტი კორესპონდენტებს გადაეცათ, გოლდუოტერმა დაახვავა სიტყვები შეშფოთების შესახებ. არიზონელი სენატორი, რომელიც ითვალისწინებს, რომ მისი წინანდელი საოამარი განცხადებანი შეიძლება დაუჯდეს ამომრჩეველთა ხმების ფასად, ამტკიცებდა, რომ „აბსოლუტურად მცდარია“ გავრცელებული შეხედულება, რომლის თანახმად მის არჩევას თეთრ სახლში „შეიძლება ასე თუ ისე მოჰყვეს ომი“.

რესპუბლიკელთა ლიდერების თათბირს ამერიკის პრესა ხატავს როგორც შერიგებისა და გოლდუოტერის გარშემო ძალთა შეკავშირების შეკრებას. მაგრამ, როგორც „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანის“ კორესპონდენტი პრესტონი ჰერშიდან იუწყება, რესპუბლიკური პარტიაში არ არის აღმოფხვრილი გათიშვა მიუხედავად იმისა, რომ გოლდუოტერის მომხრეებმა მომრიგებლებად გამოიყენეს უოფილი პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი. მთელი რიგი მოღვაწეები, მათ შორის მიჩიგანის გუბერნატორი რომნი, ნიუიორკის გუბერნატორი როკფელერი, ოჰაიოს გუბერნატორი როდსი, რომლებიც დათანხმდნენ კონფერენციაზე მიწვევას, სულაც არ აპირებენ იმუშაონ მომავალ თვეებში გოლდუოტერის სასარგებლოდ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰერშიდან იუწყება, ყოფილმა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა თათბირზე, რომ სავსებით დაუჭერს მხარს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატთა სიას.

დაძაბულობა ძლიერდება

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). პატერსონში (ნიუ-ჯერსის შტატი) ზედიზედ მეორე ღამეა გრძელდება ზანგთა მღელვარება. მღელვარების ახალი გამწვავება მოხდა იმ დროს, როცა მერი გრეივსი მოლაპარაკებას აწარმოებდა ქალაქის ზანგთა თემის 20 ხელმძღვანელთან. მათ განუცხადეს მერს, რომ დაძაბულობა ზანგთა უუნებში შეიფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება სამინაო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

როგორც საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტები პატერსონიდან იუწყებიან, გრეივსმა განაცხადა, რომ აღარ შეხვდება ზანგთა წარმომადგენლებს,

ვაშინგტონი კმაყოფილია

ბრიუსელი, 12 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან კმაყოფილი არიან ბრიუსელში გამართული მოლაპარაკების შედეგებით. მოლაპარაკების მსვლელობაში ამერიკის შეერთებული შტატები და ბელგია შეთანხმდნენ, რომ გაუდიდებენ სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას ჩომბეს მთავრობას, წერს დღეს გაზეთი „პეპლი“.

თუ ბრიუსელში, წერს შემდეგ გაზეთი, ამის შესახებ ხმას არ იღებენ, ეამინგტონში პირდაპირ აღნიშნავენ, რომ შეთანხმება ბელგიასთან ჩომბეს მთავრობისათვის დახმარების გადიდების შესახებ, ძირითადი შედეგია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის პარიმანის ვიზიტისა ბელგიაში.



ნავმისადგომი მდინარე კონგოზე. აქ იწყება ბრაზავილი — რესპუბლიკის დედაქალაქი. აქ რესპუბლიკასაც კონგო ჰქვია, მაგრამ აქ უკვე ვეღარ თარეშობენ მარინტები და მათი დასავლეთელი მეპატრონეები. რესპუბლიკა მტკიცედ მიდის წინ ახალი გზით.

ფოტო ნ. ხოხლოვისა.

ლ ე ნ ი ნ ი ს დ ა

ანა ულიანოვა-ელიზაროვას დაბადების 100 წლისთავი

შ ე ს რ უ ლ დ ა ასი წელი ანა ილიას ასულ ულიანოვა-ელიზაროვას დაბადებიდან. ექვსი შვილი ჰყავდა ილია ნიკოლოზის-ძეს — სამი ვაჟი და სამი ქალიშვილი. აქედან, გარდა ადრე გარდაცვლილი ოლღასი, ყველანი რევოლუციონერები იყვნენ.

ვ. ი. ლენინის დებიდან ანა ილიას ასული — ყველაზე უფროსი იყო. მან თექვსმეტი წლისამ დაამთავრა სიმბირსკის გიმნაზია. ერთი-ორი წელი იმუშავა მშობლიურ ქალაქის სამრეკლო სკოლაში მასწავლებლის თანაშემწედ. 1883 წელს შევიდა პეტერბურგის ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების ისტორია-ლეგიტიმაციის განყოფილებაზე.

1887 წელს პეტერბურგის პოლიციამ შეიპყრო ულიანოვთა ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი — ალექსანდრე მეფეზე თავდასხმის მომზადებისათვის. ახალგაზრდა რევოლუციონერთა ჯგუფის საქმიანობის ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. ისინი პეტერბურგიდან ციხეში ჩამოსხრჩეს. ამ დროს დაპატიმრეს ანა ილიას ასულიც და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ჯერ ყაზანსა, ხოლო შემდეგ სამარის გუბერნიაში გადაასახლეს.

დაიწყო პროფესიონალი რევოლუციონერი ქალის სიმხელეებით აღსავსე გზა. ჯერ ვოლგისპირეთის, შემდეგ მოსკოვისა და პეტერბურგის მშრომელთა უკეთესმართი ცხოვრების ახლო გაცნობამ, მარქსისტული ლიტერატურის შესწავლამ დააჩქარა მეზნეგარე რევოლუციონერის სულის ფორმირება. მაგრამ ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი გავლენა ანა ილიას ასულზე იქონია ვ. ი. ლენინმა, რომელიც რევოლუციურ მოღვაწეობაში მიდიოდა სრულიად ახალი გზით.

1895 წელს ვ. ი. ლენინმა პეტერბურგში დაარსა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც გახდა რუსეთში მარქსისტული პარტიის ჩანასახი. ლენინის დაპატიმრების შემდეგ ანა ილიას ასული აქტიურად მონაწილეობს ბრძოლის კავშირის საქმიანობაში. მან კავშირი დაამყარა საპყრობილეში მყოფ ვლადიმერ ილიას-ძესთან და კონსპირაციულად გადაწერა ძმის მიერ შედგენილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი.

1905 წლის რევოლუციამდე ანა ილიას ასული ეწევა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას მოსკოვში, სამარაში, კიევში, ტომსკში და საზღვარგარეთ. 1905-1907 წლებში იგი კვლავ პეტერბურგშია და ბოლშევიკურ გაზეთ „ეპეერიოდის“ რედაქციის წევრია.

1912-1914 წლების რევოლუციური აღმავლობის დროს ანა ილიას ასული აქტიურად თანაშრომლობს ბოლშევიკურ გაზეთებში „პრავდასა“ და „პროსვეშჩენიეში“, რედაქტორობს ბოლშევიკურ ჟურნალ „რაბოტნიცას“.

თებერვლის რევოლუციამდე მეფის ჟანდარმებმა ექვსჯერ დააპატიმრეს ანა ილიას ასული ულიანოვა-ელიზაროვა, გადაასახლეს კიდეც, მაგრამ ვერა და ვერ გატეხეს რევოლუციონერი ქალის ნებისყოფა. იგი 1917 წელს იყო გაზეთ „პრავდის“ მდივანი და მუშათა ჟურნალ „ტკაჩის“ რედაქტორი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ანა ილიას ასული ჯერ მთელი ენერგიით ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს, ხოლო შემდეგ ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში. მის კალამს ეკუთვნის ძვირფასი ნაშრომები: „აღექსანდრე ილიას-ძე ულიანოვი და 1887 წლის პირველი მარტის საქმე“, „მოგონებები ვლადიმერ ილიას-ძეზე“, „ილიჩის ბავშვობისა და სკოლის წლები“ და სხვ.

1935 წლის 20 ოქტომბერს საბჭოთა ხალხმა დიდი მწუხარებით შეიტყო პროფესიონალი რევოლუციონერი ქალის, დიდი ლენინის დის ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას გარდაცვალება, რომელმაც თავისი ცხოვრება დაუნაზინა კაცობრიობის დიადი მოძღვრისათვის მებრძოლთა სახელოვან გზას.

დღეს ულიანოვების ოჯახისადმი მადლიერებით აღსავსე ასეული მილიონობით აღამიანი აღნიშნავს ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას დაბადების 100 წლისთავს და ამაყოფილებით ერთხელ კიდევ გაიხსენებენ დიდი ლენინის დედის სიტყვებს: „მე ვამაყობ ჩემი შვილებით“.

მეგობროგის ვიზიტით

სოფია, 13 აგვისტო. (საკდესი). ბულგარეთში საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმის ვიზიტის გამოლო დღეს ახალი შეხვედრები გაიმართა, იუწყება ვარნიდან ბულგარეთის დელეგათა საბაგენტოს კორესპონდენტი.

გუშინ ერთ-ერთ საბჭოთა ხომალდზე თავიანთ საბჭოთა ამხანაგებს შეხვდნენ ბულგარეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეზღვაურები, ზემდებები და ოფიცრები, საბრძოლო და კოლიტიკური მომზადების ზარჩინებულნი.

კრეისერ „მ. კუტუზოვზე“ გაიმართა ვარნის ოლქისა და ქალაქის კომკავშირის აქტივისტთა შეხვედრა საბჭოთა მეზღვაურ-კომკავშირელებთან.

შუაღამის შემდეგ საბჭოთა სამხედრო ხომალდებმა დატოვეს ბულგარეთის წყლები.

გ მ ო ბ ე ნ

რომი, 13 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „უნიტაში“ გამოქვეყნდა იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს განცხადება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნო მკვეთრად გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და იცავს კვიპროსის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, „მშვიდობის ძალები, — ნათქვამია განცხადებაში, — უნდა იყვნენ ფხიზელნი, შეუპოვარნი და აქტიური, მათ უნდა გააფართოონ თავიანთი მოქმედება, რომ აიძულონ ამერიკის შეერთებული შტატები დათანხმდნენ 14 სანელმწიფოს თათბირის მოწვევაზე, გაიყვანონ თავიანთი ჯარები ვიეტნამიდან, ლაოსიდან, პატეკი სცენ და შეასრულონ ჟენევის შეთანხმებანი“.

ამერიკული ფანქები თვითმფრინავით

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ საღამოს 10-ზე მეტი ამერიკული მსუბუქი ტანკი და მათი პერსონალი ჩაიყვანეს თვითმფრინავებით ლეოპოლდვილში.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო დახმარებას უწევენ ჩომბეს მთავრობას იმ გადაწყვეტილების შესაბამისად, რომლიც მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჰარიმანმა და ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სპაააკმ ბრიუსელში გამართულ მოლაპარაკებაზე.

გუშინვე შეერთებულმა შტატებმა ოთხი მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავით კონგოში გაგზავნეს 50 ამერიკელი ჯარისკაცი.

კუბის უფლებათა დამტკიცება

ჰავანა, 12 აგვისტო. (საკდესი). „საბჭოთა მთავრობის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსადმი ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ანტიკუბური რეზოლუციებისა და განცხადებების გამო ჩვენი ქვეყნის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს, უფლებათა დამტკიცებაა, რომლებიც დაარღვიეს შეერთებულმა შტატებმა, გადადგეს რა ახალი აგრესიული ნაბიჯები ამ რეგიონალურ ორგანიზაციაში“, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს კუბის ცნობილმა პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწემ, კულტურის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ კარლოს ლეჩუგამ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იყო თავისი ქვეყნის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში. „გარდა ამისა, — ხაზგასმით აღნიშნა ლეჩუგამ,— საბჭოთა განცხადება ახალი მხილებაა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისა, რომელსაც ანასიათებს საერთაშორისო სამართლის ნორმების უპატივცემლობა“.

საბჭოთა მთავრობის წერილი, თქვა დასასრულ ლეჩუგამ, ამხილებს ვაშინგტონის პოლიტიკას კუბის მიმართ.

კვიპროსის ამბები

ნიკოსია, 13 აგვისტო. (საკდესი). გაზეთები „მილეეთი“ და „ხიურეთი“ ბეჭდავენ თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა სარდლის გენერალ ირფან ტანსელის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა ამ გაზეთების კორესპონდენტებისათვის.

გაზეთ „მილეეთის“ კორესპონდენტს ტანსელმა განუცხადა, რომ თურქეთის სამხედრო - საჰაერო ძალების მოქმედება კვიპროსის წინააღმდეგ „მხოლოდ დასაწყისია“. „თუ ისინი, — გააგრძელა ტანსელმა, — ვინც გზას ასცდა, სწორ გზას არ დაადგებიან, ამ საქმეს ჩვენ ძირეულად გადავჭრით“.

გაზეთ „ხიურეთის“ კორესპონდენტთან საუბარში ტანსელმა თქვა, რომ „თურქეთის თვითმფრინავები კვლავაც განაგრძობენ დასაზვერ ფრენას კვიპროსში“.

მან აღნიშნა, რომ „თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალები სავსებით გაბატონდნენ კვიპროსის რაიონში“ და, რომ „ამ რაიონში ისინი ჭარბობენ ყველა სხვა სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალებს“. მან თქვა: „კვიპროსი ჭირო იქნა, თურქეთის ავიაციას შეუძლია არც ერთი გემი არ მიუშვას კვიპროსში“. „ვინც არ უნდა მოვიდეს, — განაცხადა ტანსელმა, — ჩავიჭერავთ“.

დასასრულ გენერალმა თქვა, რომ კვიპროსის წინააღმდეგ საომარი მოქმედების პირველ დღეს მონაწილეობდა 34 თვითმფრინავი, მეორე დღეს — 64. გარდა ამისა, დღევანდლამდე 30 თვითმფრინავმა განახორციელა სადაზვერვო ფრენა.

პასუხად უშიშროების საბჭოს მოწოდებისა თურქეთისა და კვიპროსის მთავრობებისადმი ცეცხლის დაუუოვნებლივ შეწყვეტის შესახებ დღეს თურქეთში წამოაყენა პირობები, თუ რა შემთხვევაში შეწყვეტს თავისი თვითმფრინავების სადაზვერო ფრენას კვიპროსის კუნძულზე. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეროკინმა განაცხადა, რომ თურქეთი შეასრულებს უშიშროების საბჭოს მოწოდებას იმ პირობით, თუ კვიპროსელი ბერძნები უკან დაიხევენ იმ პოზიციებიდან, რომლებიც 5 აგვისტოდან უკავიათ.

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ნიკოზიიდან იუწყება, კვიპროსის პარლამენტის გუშინდელ სპეციალურ სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელიც გმობს „თურქეთის მიერ კვიპროსის რესპუბლიკის მთლიანობის აღმაფფოთებელ დარღვევას, საერთაშორისო კანონიერების ყველა პრინციპისა და უშიშროების საბჭოს ამასწინანდელ გადაწყვეტილებათა დარღვევას“.

პარლამენტის სხდომაზე წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ გლაფკოს კლერიდისმა განაცხადა: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თურქეთის დანაშაულისათვის კვიპროსის წინააღმდეგ“. კვიპროსის პრობლემა, თქვა მან, უნდა გადაჭრას თვით კვიპროსელმა ხალხმა თვითგამორკვევის უფლების შესაბამისად.

სეატოს საგჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. (საკდესი). ბანგკოკში (ტაილანდი) დღეს გაიმართა სეატოს საბჭოს სხდომა. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, რომ სხდომაზე ამერიკის ელჩმა ტაილანდში გრეჰემ მარტინმა სესიის მონაწილეებს გააცნო სამხრეთ ვიეტნამზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თავდასხმის გარემოებანი. განხილული საკითხები, როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, ძირითადად ეხებოდა სეატოს „საშინაო“ პრობლემებს.

ჯოკიო უნყლოდ

ტოკიო, 13 აგვისტო. (საკდესი). წყლის ნაკლებობა ტოკიოში ყველა მისი მცხოვრებლის უბედურებად გადაიქცა. წყლის ნაკლებობას ძლიერი სიცხე დაემატა. დაიხურა ბევრი აუზი, საშხაპე, შემცირდა ამბანოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი საწარმოს მუშაობის დრო, რომლებიც ბევრ წყალს ხმარობენ, წყლის ასაღებ წერტილებთან და ავტოცისტერნებთან, რომლებიც წყალს დაატარებენ, დარიგების საათებში ვეებერთელა რიგები დგება.

ტოკიოს მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა შემოიღოს უკვე მეხუთე ამ ცხელ ზაფხულში შეზღუდვა ქალაქის მცხოვრებთა წყლით მომარაგებაში.

ბრალს სდებენ დოკუმენტები

გემების გარეშემო ფრენა გრძელდება

როგორც ცნობილია, 3 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა, რომელშიც საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განაცხადა საბჭოთა სამეზღვაურო და სატრანსპორტო გემების მიმართ ამერიკის სამხედრო პირთა საშიში მოქმედების წინააღმდეგ. ნოტაში მოყვანილია მრავალი ფაქტი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავების ფრენისა საბჭოთა გემების გარშემო. გარდა ამისა, აღნიშნულია, თუ რა საშიშ მანევრებს მიმართავ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდა „კრეტჩმერმა“ საბჭოთა სამეზღვაურო გემ „საქართველოს“ უშუალო სიახლოვეს, რომელსაც მგზავრები მიჰყავდა კუბის რესპუბლიკაში.

ამჟამად „საქართველო“ მშვიდობით დაბრუნდა სამშობლოში და დადგა კალინინგრადის ნავსადგურში. „იზვესტიას“ თხოვნით „კალინინგრადსკაია პრავდის“ თანამშრომელი ა. ბრუსკინი შეხვდა თბომავალ „საქართველოს“ კაპიტანს თ. მაქაცარიას, აი კაპიტნის ნაამბობი:

— ეს ჩვენი მეთოთხმეტე რეისი იყო კუბის ნაპირებისაკენ. თბომავალზე ჩვეულებრივი ცხოვრება მიმდინარეობდა, ერთ-ერთ გემბანს ამზადებდნენ ეკიპაჟისა და მგზავრების შეხვედრისათვის ფრენებურთში. ამ მომენტში ყველამ შეამჩნია, რომ კიჩოდან „საქართველოს“ უახლოვდებოდ სამხედრო ხომალდი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ალამი ქმონდა. ჩვენ მკაფიოდ დავინახეთ მისი სახელწოდება — „კრეტჩმერი“ და ბორტის ნომერი — 329. იყო წამი, როცა გვეგონა, რომ ამერიკის საესკადრო ნაღმოსანთან დაჯახება არ აგვცდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ გემბანზე გამოცვივნულ ბევრ ამერიკელ მეზღვაურს საშველი სარტყელი ეკეთა. საბჭოთა ეკიპაჟის ოსტატობამ თავიდან აგვაცილა კატასტროფა. გარდა ამისა, ჩვენს გემს არაერთხელ საშიშად შემოუფრინეს გარშემო ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა.

ჩვენი თბომავლის მეზღვაურები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის პროტესტს საერთაშორისო წყლებში ამერიკის სამხედრო ავიაციისა და ფლოტის დაუშვებელი მოქმედების წინააღმდეგ. ჩვენ აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიიღებს საჭირო ზომებს ასეთი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.



ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა პროვოკაციული მოქმედება მშვიდობიან საზღვაო კომუნიკაციებზე სულ უკანასკნელ დღეებშიც გრძელდებოდა. 11 აგვისტოს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროში ჩვენს კორესპონდენტს უჩვენეს საბჭოთა გემებიდან მიღებული, 9 და 10 აგვისტოთი დათარიღებული რადიოგრამები. საბჭოთა გემების „ხიბინის“, „სლუცკის“, „კრასნოგვარდეეცის“, „კრასნოურალსკის“, „ლეოსოგორსკის“, „კემეროვოს“, „ლიენის“ კაპიტნები იუწყებიან, რომ არ წყდება ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა ამ გემების თავზე. მაგალითად, კაპიტანი ბოლეკი თბომავალ „სლუცკიდან“ რადიოთი იუწყება: „დღისა და საღამოს განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები სისტემატურად უფრენდნენ გარშემო გემს 75-100 მეტრის სიმაღლეზე“.

საშიში პროვოკაციები საბჭოთა ადამიანების აღშფოთებასა და პროტესტს იწვევენ. საზღვაო გზებზე მეკობრეობა უნდა შეწყდეს!

კალინინგრადიდან ფოტოტელეგრაფით მიღებულ სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როცა „საქართველოს“ გარშემო უფრენს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი, რომლის ბორტის ნომერია 151349.

ნგვადასგვა მერიდიანზე

□ **კაირო, 13 აგვისტო.** ეგვიპტეში გაფრინდა სულთან ამმედ ბენ ბადულა ელ-ფადლი. გაფრენის წინ სულთანმა ფადლიმ განაცხადა, რომ იემენს მიემგზავრება ამ მიზნით, რომ გააქტიუროს ბრძოლა ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ არაბეთის სამხრეთში.

□ **მეძსიკა,** საელჩოს კოსტა-რიკაში კვლავ ბანდიტურად დაეხსნენ თავს, რომლის დროსაც უცნობმა პირებმა სროლა აუტეხეს შენობას. პირველი ასეთი თავდასხმა მოხდა 15 დღის წინათ. მასში მონაწილეობდნენ კუბელი ემიგრანტები, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ მექსიკამ არ დაუჭირა მხარი ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნას კუბის წინააღმდეგ სანქციათა მიღების შესახებ და კვლავ მოითხოვს კუბასთან ურთიერთობის შენარჩუნებას.

□ **რვა** მილიონი კაცი დაზარალდა აღმოსავლეთ პაკისტანში მომხდარი წყალდიდობისაგან. წყალდიდობის შედეგად დაიტბორა აღმოსავლეთ პაკისტანის მნიშვნელობით მეორე სანავსადგურო ქალაქი ნარაიანგანჯი. დიდი ზარალი მოუვიდა სოფლის მეურნეობას. არის ადამიანთა მსხვერპლი.

□ **ახლა,** ოთხ დამთავრების თითქმის ოცი წლის შემდეგ. ჰიტლერელთა ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკ ბერგენ-ბელზენის მახლობლად აღმოჩენილია სიყვდილის ამ ბანაკის ნაცისტი ჯალათების მსხვერპლთა საფლავები. როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, საფლავებში დამარხულია ბერგენ-ბელზენის ბანაკის მრავალი ასეული ყოფილი ტყვე.

□ **იტალიის** გაზეთები იუწყებიან, რომ ფლორენციის მართლმადიდებელი ეკლესიიდან გაიტაცეს 18 ხატი, რომლებიც XV-XVI საუკუნეთა ხელოვნების ძეგლებია. გამტაცებლებმა მარტო ის ხატები წაიღეს, რომლებიც ნამდვილ ფასეულობას წარმოადგენენ. განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში ნათქვამია, რომ განვლილ ექვსწელიწადნახევარში იტალიის მეზეუმებიდან, სურათების გალერეებიდან და ტაძრებიდან მოიპარეს წარსულის მხატვრობა და მოქანდაკეობა 680 ძვირფასი ნამუშევარი. (საკდესი).

ქომუნისტი

მე-3 გვერდი, პარასკევი, 14 აგვისტო, 1964 წ.

ლ ე ნ ი ნ ი ს დ ა

ანა ულიანოვა-ელიზაროვას დაბადების 100 წლისთავი

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). ლეოპოლდვილის მთავრობამ კიევს პროვინციის დედაქალაქ ბუკავუში გაგზავნა ორი ავიაგამანადგურებელი, იმ ხუთი თვითმფრინავიდან, რომელიც მის განკარგულებაშია. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ეს ღონისძიება ჩომბეს მთავრობამ განახორციელა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქს მიუახლოვდა აჯანყებულთა დიდი ძალები გასტონ სუმიალოს ხელმძღვანელობით. ბუკავუში თვითმფრინავების გაგზავნა, წერს შემდეგ კორესპონდენტი, მოწმობს რომ „ჩომბემ გადაწყვიტა სტენლივილის დაკარგვის შემდეგ თავიდან აიცილოს აჯანყებულთა შესვლა კონგოს სხვა დიდ ქალაქებში“.

როგორც სტენლივილიდან იუწყებიან, ქალაქში, რომელიც აჯანყებულებმა დაიკავეს, ცხოვრება ნორმალურ სახეს იღებს, ქალაქში კვლავ გაიხსნა მაღაზიები. მიუხედავად ჩომბეს განცხადებისა, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტ



ამბები, ცნობები

გვაცყობინებენ „კომუნისტის“ მკითხველები, კორესპონდენტები

მწერლები — მშრომელებთან

ახალციხე. (საკ. კორ.). ამ დღეებში ახალციხის რაიონს ეწვივნენ ცნობილი ქართველი მწერლები და პოეტები ალიო მირცხულავა, ალექსანდრე ქუთათელი, გიორგი ნატროშვილი, იოსებ ნონეშვილი. მათთან ერთად ჩამოვიდნენ პოლონელი სტუმარი—კრაკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალი ვაცლავ კუბაკი და ცნობილი რუსი მთარგმნელი ვიქტორ ბორისოვი.

რაიონში სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. მათ პატივსაცემად სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ ა. მექვაბიშვილმა. მოხსენებით „ქართული ლიტერატურა ახალი ამოცანების წინაშე“ გამოვიდა გიორგი ნატროშვილი.

პიონერებმა ცოცხალ ყვავილთა თაიგულები უძღვნეს სტუმრებს. ახალგაზრდობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა დ. ხმალაძემ. მხატვრული სიტყვის ოსტატებმა ახალციხის მშრომელებს გააცნეს ახალი ლექსები, მოთხრობები და თავიანთი შემოქმედებითი გეგმები. საღამოს მონაწილეებს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაუზიარა პოლონელმა მწერალმა ვაცლავ კუბაკიმ.

მწერლებმა ორი დღე დაჰყვეს ახალციხეში, გაეცნენ რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ქართული ხილი წყალტუბოდან

წყალტუბო. (საკ. კორ.). **საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა კიდევ ერთი ახალი გამარჯვება მოიპოვეს — 1 აგვისტოსათვის გადაჭარბებით 111,1 პროცენტით შეასრულეს კურკოვანი ხილის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 2.790 ტონისა, სახელმწიფოს მიეყიდა 3.100 ტონა ხილი.**

კურკოვანი ხილის დამზადება გრძელდება.

მოლიუსჩუსებს „სქური“

ფალენჯიხა. (საკ. კორ.). სქურის წყალი კარგა ხანია ცნობილია როგორც კუჭის და ნაწლავების, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალო საშუალება.

სქურის წყალს, მეტადრე გაზრეებულს, სასმელად საკმაოდ სასიამოვნო გემო აქვს. აჭიტომ მასზე მოთხოვნილება დიდია და ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც იგზავნება.

სქურის მინერალური წყლის ჩამოსასხმელ ქარხანას შვიდ თვეში უნდა ჩამოესხა 500 ათასი ლიტრი, ფაქტიურად ჩამოასხა 550 ათას ლიტრზე მეტი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

იოზეფ ფიშერი: სიახლოვე სიკეთის საწინდარია



ჟურნალისტებს ყველა კეთილი სტუმარი უყვართ, მაგრამ გგრძნობ, რომ თავიანთ თანამოკალმეებს განსაკუთრებულ მასპინძლობას უწევენო... ეს სიტყვები ერთ-ერთი შეხვედრისას თქვა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მდივანმა **იოზეფ ფიშერმა**, რომელმაც მეუღლითურთ რამდენიმე დღე დაჰყო საქართველოში. სტუმრებმა, გარდა თბილისისა, დაათვალიერეს ზღვისპირეთი, სოხუმი, იყვნენ აგრეთვე მცხეთაში, გაეცნენ სამგორის ზვრებსა და ვენახებს.

გამგზავრების წინ „**კომუნისტის**“ კორესპონდენტთან საუბარში **იოზეფ ფიშერმა** თქვა:

მოგზაურობა წინათაც უყვარდათ ჟურნალისტებს, მაგრამ ესოდენი პასუხისმგებლობა, რაც ყოველ ჩვენგანს აკისრია დღეს სტუმრობისა თუ მოგზაურობის ჟამს, ყოველთვის როდი არსებობდა. ჟურნალისტიკა ამჟამად უდიდეს როლს ასრულებს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხალხთა დაახლოების, სიკეთისა და მშვიდობის საქმეში. ამიტომ არის, რომ ჟურნალისტი პასუხს უნდა აგებდეს თვითეული თავისი სიტყვისათვის, როგორც იტყვიან, ფუჭად არ უნდა ლაპარაკობდეს. მართალ და კეთილ სიტყვას ძალიან ბევრი რამ შეუძლია ამ ქვეყნად.

აი უკვე რამდენიმე დღეა საქართველოში ვარ, ბევრი რამ ვნახე, გავეცანი მრავალ შესანიშნავ ადამიანს. ისინი ახლა ჩემი მეგობრები არიან. დიდად მესიამოვნა ის ამბავიც, რომ თქვენს რესპუბლიკაში ფრიად საინტერესო ჟურნალისტური ცხოვრების მოწმე გავხდი. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტს უნდა აკეთებდეს ჩვენი დაახლოებისათვის. განზე არავინ არ უნდა დარჩეს. ქართველი ჟურნალისტები ჩვენი დიდი საერთაშორისო ჟურნალისტური ოჯახის კანონიერი წევრები არიან. ზოგიერთ ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხები ჩვენი ორგანიზაციის ორგანოს „დემოკრატიული ჟურნალისტის“ ფურცლებზე. წერილი თითქმის მოფიქრებული მაქვს და პრაღაში დაბრუნებისთანავე დავწერ.

სურათზე: იოზეფ ფიშერი მეუღლითურთ თბილისში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

„ჩემპიონატები • ტურნირები“

დღეს ექვსი თამაშია

„ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებისათვის დღეს იწყება მორიგი ტური.

ცენტრალურ პაექრობას მოსკოვის „ტორპედოსა“ და ცსკა-ს მატჩი წარმოადგენს. თუ გავიხსენებთ მათი პირველი წრის შეხვედრას, იგი დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით 2:1.

დანარჩენ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „კაირატი“ (ალმა-ატა), „დინამო“ (მინსკი) — „ნეფტანიკი“ (ბაქო), „შინაკი“ (იაროსლავლი) — სკა (დონის როსტოვი), „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)—„მოლდოვა“ (კიშინიოვი), „ვოლგა“ (გორკი) — „შახტიორი“ (დონეცკი).

ლიდერია ა. ლუზიკოვი

კიშინიოვი. (სპეც. კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის კიშინიოვის ნახევარფინალის მეშვიდე ტურში კიკინამ დაამარცხა არულაიდი, ბოკუჩავამ — კუზმინი, კლოვანმა — ნეკვედნიჩი, ლუტიკოვმა — როიზმანი, სარდაროვმა — ამბრაზაიტისი, გიპსლის-ნიკიტინის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეშვიდე ტურში კუზმინმა მოუგო სარდაროვს, გიპსლისმა — ამბრაზაიტისს, გოლდენოვმა — კუდრიაშოვს, ლუტიკოვმა — ჩეხნაუსკასს, ჰალილბეილიმ — როიზმანს. კლოვან-ბაგიროვის, კიკინან-ნეკვედნიჩისა და ბოკუჩავა-არულაიდის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ერთი პარტია გადაიდო.

შვიდი ტურის შემდეგ ა. ლუბოეკოს 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, თ. ჰეპიანს — 5 ქულა, ჰალილბეილის— 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია უარეს პოზიციაში, ბოკუჩავას — 4 ქულა.

გ. მაჰაკიანი.

„ა“ კლასის გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის მეორე კვეჯგუფი

მდგომარეობა 14 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სკა (ოდ.)	22	11	9	2	27-13	31
„შახტიორი“ (ყარ.)	22	10	8	4	30-16	28
„ლოკომოტივი“ (მ.)	23	9	9	5	23-19	27
„არარატი“ (ერ.)	23	7	11	5	20-13	25
„კარპატი“ (ლვ.)	22	10	4	8	31-26	24
„ტრუდი“ (ვორ.)	23	9	6	8	21-25	24
„ლოკომოტივი“ (თბ.)	22	8	6	8	29-23	22
„მეტალურგი“ (ზპ.)	22	5	12	5	15-12	22
„ურალმაში“ (სვერ.)	23	9	4	10	20-24	22
„ტრაქტორი“ (ვოლ.)	23	7	8	8	18-25	22
„დნეპრი“ (დნეპ.)	23	7	6	10	21-25	20
„დინამო“ (ტალ.)	22	4	9	9	19-24	17
„ალგა“ (ფრუნ.)	23	5	7	11	23-39	17
„სპარტაკი“ (ჯომ.)	23	2	11	10	7-20	15

თბილისელი ჩოგბურთელის ახალი გამარჯვება

მოსკოვში დასასრულს უახლოვდება თერმიეტი ქვეყნის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი.

გუშინ გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები. თბილისელ მეტრეველს პაექრობა ჰქონდა ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან, მოსკოვის ჩემპიონ ეგოროვთან და გაიმარჯვა. წარმატებით იბრძოდა აგრეთვე სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ლეიუსი. მან მოუგო იუშკოს.

ქალთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ერმოლოვა დამარცხდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩოგბურთელთან.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

დაიხურა ქართველ მხატვართა გამოფენა კიევში

12 აგვისტოს კიევში დაიხურა ყალმისა და საჭრეთლის ქართველი ოსტატების ნაწარმოებთა გამოფენა. ერთი თვის განმავლობაში კიეველები ეცნობოდნენ ქართველი ოსტატების უ. ჯაფარიძის, ქ. მაღალაშვილის, ე. ახვლედიანის, ლ. გუდიაშვილის, ნ. კანდელაკის, დ. კაკაბაძის, რ. სტურუას, დ. ნოდიას, ნ. იანქოშვილის, ე. ამაშუკელის, გ. თოთიბაძისა და სხვათა საუკეთესო ნამუშევრებს. უკრაინის პრესამ მაღალი შეფასება მისცა მოძმე ხალხის ხელოვნებას.

გასული წლის აპრილიდან გამოფენა მოეწყო მოძმე რესპუბლიკების ბევრ ქალაქში. პირველი ქალაქი, რომელიც სიხარულით შეხვდა გამოფენას, იყო ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი. შემდეგ გამოფენა მოეწყო კაუნასში, ტალინში, ტარტუში, მინსკში. ამ ქალაქებში გამოფენა თვენახევარს მუშაობდა და ყველგან სპეციალისტებისა და პრესის მოწონება დაიმსახურა.

კიევიდან ქართველ მხატვართა გამოფენა გადატანილია ქალაქ გროზნოში.

(საქდესი).

ჩვენი სტუმრების ხელოვნება

გერმანული ესტრადა თბილისში

ხელოვნების სხვადასხვა ჟანრებთან შედარებით ესტრადა, შეიძლება ითქვას, ყველაზე მრავალფეროვანი. კონცერტში შეტანილი „უნიკალური“ ნომერი ზოგჯერ ძირითადად საესტრადო ხასიათისა არ არის, მაგრამ საერთო ანსამბლში კეთილსაფოვნად ჟღერს. ყველა საესტრადო კოლექტივი ცდილობს მიაგნოს ორიგინალურ გასაღებს, რომელსაც მსმენელთა უმრავლესობა დადებითად შეაფასებდა. ალბათ ასეთი გასაღები სურდათ გამოენახა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკონცერტო გაერთიანების ხელმძღვანელებს, როდესაც აკომპლექტებდნენ საესტრადო ჯგუფს საბჭოთა კავშირში მომავალი გასტროლებისათვის.

ფილარმონიის საზოგადოება თეატრში გაიმართა ამ მსახიობთა ჯგუფის ორი კონცერტი. კონცერტის დასაწყისშივე სცენას დაეუფლა ხუთი გოგონა — მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი, ლიაციგის ფიზკულტურული ინსტიტუტის სტუდენტები. მათ მიერ შესრულებულ სპორტულ ნომრებს თან ახლდა სიმამაცე, ელასტიურობა და, შეიძლება ითქვას, ესტრადულობაც, რასაც მეტ მიმზიდველობას აძლევდა პოპულარული ამერიკელი კომპოზიტორის ჯ. გერშვინის მელოდიები.

გერმანელ მსახიობთა კონცერტს ამშვენებდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიო „ჰოლანდი“. მისი შესრულებით თბილისელებმა მოისმინეს მრავალი იუმორისტულ-სახუმარო სიმღერები, რომლებიც ესტრადული მინიატურის სახეს ატარებდნენ. მათ შორის დიდი წარმატება ხვდა ზოპერის, შედგენილ სახუმარო სიმღერებისაგან, „ნაყინის გამყიდველი“ და „მუსტაფას“.

ეს ახალგაზრდული კოლექტივი ფრიად პოპულარულია როგორც გერმანიაში, ისე ევროპის ქვეყნებშიც. „ჰოლანდი“ ახლახან დაბრუნდა ავსტრიიდან, სადაც ტურნეს მართავდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსახიობთა ჯგუფი.

სტუმრებმა წარმოგვიდგინეს მრავალფეროვანი პროგრამა. საესტრადო მსახიობებთან ერთად კონცერტში მონაწილეობდნენ ლაიპციგისა და ბერლინის ოპერის თეატრის სოლისტები (ედა შალერი, კრისტიან პოლსტერი და გერმან გენელი). თუ გავთვალისწინებთ იმ დიდ მოთხოვნილებებს, რომლებსაც ოპერის სოლისტებს უყენებს მსმენელი, სასურველი იქნებოდა პროგრამაში წმინდა საესტრადო ნაწარმოებებთან ერთად ადგილი დათმობოდა საოპერო ნაწარმოებებსაც.

თბილისელებს ჯერ კიდევ ახსოვთ ლაიპციგის რადიოსა და ტელევიზიის ორკესტრის გამოსვლები სპორტის სასახლეში. ბუნებრივია ჩვენი მსმენელები მოაგდებდნენ ამ ორი გერმანული კოლექტივის შედარებას. ახლანდელ საესტრადო ჯგუფში არიან ლაიპციგელი და ბერლინელი მსახიობები. ამიტომ, ბუნებრივია, მსმენელები მოდიოდნენ კონცერტზე იმ იმედით, რომ მოისმენდნენ მაღალკვალიფიცირებულ მსახიობთა საესტრადო კონცერტს. სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა ეს იმედები.

კ. მაკარიძე.

* * *

სურათებზე: ზემოთ — მღერის ორკესტრის სოლისტი ს. ზივერტი; ქვემოთ — ვოკალურ-ინსტრუმენტული ტროს „ჰოლანდის“ გამოსვლა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი

სოხუმის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ. აბეღიანის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა განსვენებული პროფესორის ლეონ მამლიძისა-ბეგის ნაშრომის — „სომეხი მწერლები და საქართველო“ პირველი ნაწილი. ეს არის ინსტიტუტის მიერ დაწყებული სერიის — „ლიტერატურული კავშირის“ მეექვსე წიგნი.

ახალი ნაშრომი მოიცავს მიმოხილვას ძველი საუკუნეებიდან მე-19 საუკუნის ჩათვლით. მისი მიზანია მკითხველებს გააცნოს თუ რა კავშირშია სომეხი მწერლების შემოქმედება და მოღვაწეობა საქართველოსთან, მის მშვენიერ ბუნებასთან, ქართველი ხალხის წარსულთან, მის ცხოვრებასთან, ზნეჩვეულებებთან, კულტურასთან.

წინასიტყვაობაში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს იმ სომეხ მწერლებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ მეხუთე საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე—დაწყებული კორიუნით, ფარბეცით, ნორენციით და გათავებული საიათნოვათი, სეროფეთ, შამჩი-მელქონით და სხვებით.

დასახელებულ მწერალთა და ამუშაო ლიტერატურულ, ისტორიულ და სამეცნიერო შრომებში ფართო ადგილი უჭირავს საქართველოს, ქართული კულტურის მოღვაწეებს, ლაპარაკია ურთიერთ გავლენაზე, საერთო საწყისებზე.

შრომის ძირითადი ნაწილი მოიცავს მე-19 საუკუნის ოცდაათამდე სომეხი მწერლის, მათ შორის პატკანიანების, ალამდარიანის, თაღიანიანის, აბოვიანის, ნაზარიანის, ნალბანდიანის, არწრუნის, რაფის, სუნდუკიანის, მურაცანის და სხვა მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვას.

რასაკვირველია, ყველა ეს ავტორი თანაბარი სიღრმით არ არის წარმოდგენილი, მაგრამ მათი მეტი ნაწილის შემოქმედების მიმოხილვა ახალ ფურცლსა შლის სომეხი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობის, თანამშრომლობისა და ურთიერთგავლენის ისტორიაში და ამიტომ ძალზე საინტერესოა.

სასიამოვნოდ იკითხება დიდი განმანათლებლის ხაჩატურ აბოვიანის ბრწყინვალე შემოქმედებისადმი მიძღვნილი გვერდები. ავტორი ფაქტობრივი მასალის განხილვით გვიჩვენებს აბოვიანის მჭიდრო კავშირს საქართველოსთან, ქართველ ხალხთან. ავტორი აბოვიანის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან გვაცნობს ისეთ უნიკალურ მასალებს, რომლებიც თვალნათლივ ასახავენ ხაჩატურ აბოვიანის მჭიდრო ურთიერთობას საქართველოსთან და საუკეთესო წყაროს წარმოადგენენ საქართველოს წარსულის ისტორიისათვის, როგორც, მაგალითად, „თბილისი 125 წლის წინათ“ (ნაშრომი გერმანულ ენაზე), „თბილისის ბოტანიკური ბაღი“, „1795 წლის 11 სექტემბერი“, თბილისის საშინელი აოხრება აღა-მაჰმად-ხანის ურდოების მიერ და სხვ.

ასევე დაწვრილებით არის განხილული დიდი სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანის კავშირი ქართულ კულტურასთან. ავტორი საკითხის ღრმა ცოდნით აშუქებს ქართველ მოღვაწეებთან დრამატურგის პირადი კავშირის ამსახველ ფაქტებს. როგორც ირკვევა, სუნდუკიანს კარგად სცოდნია ქართული ენა და კულტურა, ქართველი ხალხის ზნეჩვეულებები და ყოფაცხოვრება, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები სომხების ყოფაცხოვრება და, ასე წარმოიდგინეთ, ენაშიც კი ქართულის გავლენა.

შემდეგ ავტორი ასევე ფართოდ მიმოიხილავს, თუ როდენ გულთბილად იქნა მიღებული ქართველი ხალხის მიერ გ. სუნდუკიანის პიესები, რა როლი შეასრულა დრამატურგმა ქართველი ხალხის კულტურის, დრამატურგიისა და თეატრის განვითარებაში.

მეცნიერული ყურადღებას იქცევს აგრეთვე რაფის, ახვერდიანის, პროშიანის და მურაცანის კავშირი საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, თბილისთან.

სამწუხაროდ, ეს არ ითქმის სხვა მწერლებისა და პუბლიცისტების შესახებ. მაგალითად, ძუნწად არის განხილული გრ. არწრუნის მოღვაწეობა. ამ გამოჩენილ პუბლიცისტს ფრიად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართულ კულტურასთან და მის მოღვაწეებთან. შეიძლება დავასახელოთ ის მწვავე კამათი, რასაც ადგილი ჰქონდა სომხურ-ქართულ პრესაში გრ. არწრუნსა და ი. ჭავჭავაძეს შორის.

ბევრ ახალ წყაროს გვთავაზობს ლ. მელიქსეთ-ბეგი სომეხი და ქართველი ხალხების ენობრივ ურთიერთ გავლენაზე. მაგალითად, მას გამოუთვლია, რომ აბოვიანს თავის შემოქმედებაში გამოყენებული აქვს 28 ქართული სიტყვა, სუნდუკიანს 235, რაფის 26 და სხვ.

წიგნის ღირსებას შეადგენს აგრეთვე ისიც, რომ ნაჩვენებია თვითეული ავტორის შესახებ არსებული ქართული ლიტერატურა და თარგმნილი ლიტერატურის ნუსხა.

წიგნის ნაკლია ის, რომ ყველა სომეხი ავტორის მოღვაწეობა არ არის განხილული. მაგალითად, ფერენცი, კარონიანი, არფიარ არფიარიანი, რომლებიც ახლო იდგნენ საქართველოსთან. ზოგი მწერალი მხოლოდ მოხსენებულია ინ ნიშნით, რომ თბილისში უცხოურია (ს. ნაზარიანი, გ. არწრუნი, მიქაელ, გაბრიელ და ქერობე პატკანიანები და სხვა), არაფერია ნათქვამი მათ კავშირზე ქართველ ხალხთან, ქართულ კულტურასთან.

ასევე სქემატურია პერიოდული პრესის მიმოხილვა. იგი განხილული არ არის ქართულ პერიოდიკასთან, ქართულ კულტურასთან ურთიერთობის ასპექტში.

ამ ნაკლთა მიუხედავად, ლ. მელიქსეთ-ბეგის ნაშრომი მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა. დიდია მისი კულტურული ღირებულება. იგი უტყუარი წყაროებით ერთხელ კიდევ ადასტურებს სომეხ-ქართველთა საუკუნეობრივ ძმობასა და კულტურულ ურთიერთანამშრომლობას.

დ. გაზაზიანი.

ქ. ერევანი.

ქმობის წიგნი

ახალი წყაროები ქართველი და სომეხი ხალხების ლიტერატურულ ურთიერთობაზე



უნიკალური ქანდაკება

ლენინგრადელი არქეოლოგების აღმოჩენა

ლენინგრადი (საკდესი). სეზონის უმნიშვნელოვანეს მოვლენას უწოდებენ სპეციალისტები შავი ზღვის სანაპიროზე, ევპატორიის მახლობლად აღმოჩენილ ქანდაკებას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩვენს ერამდე IV-II საუკუნეების ბერძენსკვითების ნაქალაქარის გათხრის დროს ორ მეტრ სიღრმეზე აღმოაჩინა ბრინჯაოს ქანდაკება — მხედარი გაჭენებულ ცხენზე.

მეცნიერთა აზრით, იტალიის გარდა, სადაც არის ერთი ამგვარი ძეგლი, სხვა ანალოგიური ძეგლები არ არსებობს.

როდესაც ქანდაკება მიწიდან ამოიღეს, სადაც ის ორი ათას წელიწადზე მეტ ხანს იყო, მისმა ზედაპირმა დაჟანგვა დაიწყო. ამ პროცესის შესაჩერებლად გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ გაეგზავნათ უძველესი ხელოვნების ძეგლი ლენინგრადში. ექსპედიციის მონაწილემ ი. დომანსკიმ ქანდაკება გადასცა ერმიტაჟის რესტავრატორებს.

ინტერესო სიახლენი

ჯიბის მაგნიტოფონი

ერთი შეხედვით ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ლამაზი, პორტსიგარის მსგავსი კოლოფი, რომელიც ადგილად ეტევა ხელისგულზე, — ბგერაჩამწერი და აღმწარმოები აპარატია ისეთივე კვანძებითა და დეტალებით, როგორიც ნამდვილ მაგნიტოფონს აქვს.

მაგნიტოფონს მცირეგაბარიტიანს ეუწოდებთ, თუ მისი წონა რამდენიმე კილოგრამია, ხოლო ზომით პატარა ჩემოდნის ოდენაა. მას ძალიან ბევრი აქვს მძიმე კვანძები, პირველ რიგში კი ელექტროძრავი ლენტსაჭიმი მექანიზმით, რომელიც ძნელია გაკეთდეს ისეთი, რომ მომცროა, საკმაოდ მძლავრი და საიმედო იყოს. მაგნიტური ჩაწერის და რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინერმა იური ბიუზინმა და ევგენი პეტროვმა კი წარმატებით გადაჭრეს ეს ამოცანა. მათ თავიანთ კონსტრუქციას „ბლოკნოტი“ უწოდეს, და ამით ზუსტად განსაზღვრეს მის „ზოვალეობათა“ წრე. მართლაც, თუ გსურთ ჩაიწეროთ ლექცია, მეცადინეობაზე, ლაპარაკი საინტერესო თანამოსაუბრესთან ან ლექსი, რომელიც მოგეწონათ, — მაგერი უბის წიგნაკი მუდამ თქვენს განკარგულებაშია.

მაგნიტოფონი „ბლოკნოტი“ იწონის სულ 630 გრამს, ხოლო მისი ზომაა 145X82X37 მილიმეტრი. იგი თავისუფლად ეტევა პიჯაკის ჯიბეში.

მაგნიტოფონში მიკროფონია ჩაეფლებრივი დიდწინაღობიანი სატელეფონო ყურსაცავი. იგი ამავე დროს იძლევა ჩანაწერის მოსმენის შესაძლებლობას აღწარმოების დროს. „ბლოკნოტის“ კასეტები 40 მეტრ აფსკს იტევს. ჩაწერის სისტემა არჩეულია ოთხლარიანი, ამასთან მეზობელი ლარები ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებით არიან განლაგებული. ლარების გადართვა ხდება ავტომატურად ჩაწერის თვითეული ციკლის ბოლოს, მაგრამ ამ ოპერაციის შესრულება ხელითაც შეიძლება.

თუ საჭირო ლენტის სწრაფად გადახვევა წინ ან უკან — ეს შეიძლება გაკეთდეს ხელით, რისთვისაც კასეტის ნახვრეტში უნდა ჩაიდგას ლითონის ან ხის ღერძი.

თვითეული ლარის ბგერის დროა 15 წუთი. მაშასადამე, ერთი კასეტი ჩაწერის ან აღწარმოების რეჟიმისას განუწყვეტლივ მუშაობს ერთი საათის განმავლობაში. ლენტის მოძრაობის დროს მისი სიჩქარე რამდენადმე იცვლება — 3,5-დან 6,5 სანტიმეტრამდე წამში, მაგრამ ბგერის ხარისხზე ეს პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას, ამიტომ რომ აღწარმოება მუდამ იმავე სიჩქარეზე ხდება, რომელზეც ჩაწერა.

მაგნიტოფონის სიხშირის დიაპაზონია 200-დან 3500 ჰერცამდე. გამაძლიერებელში გამოყენებულია მცირეხმაურიანი ტრანზისტორები.

იკვებება „ბლოკნოტი“ ოთხი მინიატურული აკუმულატორით. განუწყვეტელი ჩაწერის რეჟიმის დროს ერთი მუხტი საკმარისია 3-4 საათის მუშაობისათვის.

1964 წლის 30 სექტემბერს ქ. კიევში შედგება

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის

მოგებათა 101-ე ძირითადი და მე-17 დამატებითი ტირაჟები

სესხის ჩვიდმეტ თანრიგზე ძირითად ტირაჟში გათამაშდება 7.905.340 მანეთის 144.500 მოგება. მათ შორის:

5.000 მანეთიანი — 34 მოგება, 2.500 მანეთიანი — 85 მოგება, 1.000 მანეთიანი — 425 მოგება, 500 მანეთიანი — 1.360 მოგება, 100 მანეთიანი — 11.900 მოგება, 40 მანეთიანი — 130.696 მოგება.

მე-17 დამატებით ტირაჟში გათამაშდება 19.364.020 მანეთის 195.500 მოგება. მათ შორის:

10.000 მანეთიანი — 17 მოგება

5.000 მანეთიანი — 85 მოგება და ასე შემდეგ...

სესხზე ყოველწლიურად ტარდება მოგებათა 6 ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოსახლეობაში არსებული 3-პროცენტიანი სესხის ობლიგაციები მონაწილეობას იღებენ მოგებათა ყველა ტირაჟში, რომლებიც ჩატარდება ამ სესხის ვადის განმავლობაში.

სესხის ობლიგაციებს ყიდის და თავისუფლად ყიდულობს ყველა შემნახველი სალარო.

შეიძინეთ სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

მონაწილეობა მიიღეთ მოგებათა ტირაჟში!

საქართველოს სსრ სახშრომშემსალაროების და სახკრედიტის სამმართველო.

„ჩემპიონატები • ტურნირები“

ლ. ა. კოპალიანი

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენი მასალების მრეწველობის სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსი **დავით ამბაკუმიძე კოპალიანი.**

იგი დაიბადა 1910 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ლუხვანოში, იქვე დაამთავრა დაწყებითი სასწავლებელი და 1928 წელს მუშაობა დაიწყო ცაგერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში.

1929-1932 წლებში ლ. კოპალიანი ცაგერის ჰიდროელექტროსადგურში მუშაობდა მემანქანის თანაშემწედ. 1941 წელს დაამთავრა თბილისის ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. მას წლების მანძილზე ეკავა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა.

1925 წლიდან ლ. კოპალიანი ლენინური კომკავშირის წევრი იყო, ხოლო 1939 წელს შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. მას უმუშავნია საქართველოს კომპარტიის თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მდივნად კადრების დარგში. საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივნად, თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის მდივნად, ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1958 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსად.

ლ. კოპალიანი იყო შრომისმოყვარე, ენერგიული, კეთილსინდისიერი მუშაკი, გულისხმიერი, თავმდაბალი ადამიანი. იგი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თანამშრომლებსა და ამხანაგებში.

ლ. კოპალიანის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებში.

ამხანაგების ჯგუფი.

ბ. ა. ბოლკვაძე

ბ. ა. ბოლკვაძე (ბ. ბ. ბ.